სპორტი

სპორტული გაზეთი შაბათი 1 ივლისი 2006 №149 (2771) ფასი 50 თეთრი

ორი და მშვიდობა

AFP ბერლინიდან

გერმანიამ არგენტინა გადაიტანა, იტალიამ უკრაინა გაიტანა

AFP ბერლინიდან

ჩხუბში კუ-ფრე იყო, პეკერმანი კი წავიდა



იმის გარკვევას, რომ სამშაბათს მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ გერმანია და იტალია წარდგებიან, ორი მატჩი და რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა დასჭირდა.

გუშინდელი დღის პირველ შეხვედრაში გერმანიამ არგენტინას პენალტებით მოუგო, თუმცა ეს ყველასთვის ცნობილი გახლავთ. უცნობი, ალბათ, ის იყო, თუ რატომ იჩხუბეს შეხვედრის დამთავრების შემდეგ მატჩის მონაწილეებმა. თურმე, პენალტების შემდეგ არგენტინელი ლეანდრო კუფრე, რომელიც „რომაში" თამაშობს, ამ მატჩში კი სათადარიგო იყო, გერმანელ პერ მერტესაკერს მივარდნია, ამის შემყურე ვეტერანს და ბუნდესნაკრების ერთ-ერთ შეფთაგანს ოლივერ ბირჰოფს კი თავისი ფეხბურთელი დაუცავს...

ღამე ცნობილი გახდა, რომ თანამდებობიდან გადადგა არგენტინელთა მწვრთნელი ხოსე ნესტორ პეკერმანი. საღამოს მატჩში კი იტალიამ 3:0 მოუგო უკრაინას, რომლის თამაშსაც თვით პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო ესწრებოდა.

AFP ბერლინიდან

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მეოთხედფინალი

ასე გავიდა ოთხეულში ფავორიტალია

იტალია 3:0 უკრაინა

№58. 30 ივნისი. 23.00. ჰამბურგი. „AOL არენა“. 50 000 მაყურებელი

1:0 ძამბროტა (6), 2:0, 3:0 ტონი (59, 69)



შეცვლა: სვიდერსკი – 16. ვორობეი (20), რუსოლი – 17. ვაშჩუკი (45), კამორანეზი – 22. ოდო (68), პირლო – 17. ბარონე (68), მილევსკი – 20. ბელიკი (72), გატუზო – 2. ძაკარდო (77)

გაფრთხილება: სვიდერსკი (16), კალინიჩენკო (21), მილევსკი (67)

მსაჯები: ფრანკ დე ბლეეკერი;
პეტერ ჰერმანსი, ვალტერ ვრომანსი (ბელგია)

15	ხარიმა	31
1	კუთხური	3
10	კარისკენ დარტყმა	13
7	კარში დარტყმა	7
2	თამაშგარე	2
41	ბურთის ფლობა პროცენტულად	59

AFP ჰამბურგიდან

AFP ჰამბურგიდან

ახლა კი საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ანდრეი შევჩენკო იტალიას გამოეთხოვა. წუხელ, უფრო სწორად კი, უკვე დღეს, თბილისის დროით ღამის პირველ საათზე დიდებული უკრაინელი ფორვარდი თავჩახრილი ტოვებდა ჰამბურგის „AOL არენას“ მინდორს, მის უკან კი „სკუადრა აძურა“ ნახევარფინალში გასვლას ზეიმობდა.

იტალიამ ისე გაიმარჯვა, როგორც ფავორიტს შეშვენის. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ითამაშა დალაგებული, დახვეწილი, საშემსრულებლო ოსტატობის თვალსაზრისით მაღალი ხარისხის ფეხბურთი, ხოლო ის, რომ უკრაინელებს მეორე ტაიმში ერთი ხანობა გოლის გატანის რამდენიმე შანსი ჰქონდათ, „აძურის“ სისუსტეზე კი არა, უკრაინელთა სიძლიერეზე მიუთითებს და ეგეც არ იყოს, აბა, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ერთ გუნდს მეორეს კართან სახიფათო მომენტი ვერ უნდა შეექმნა?! თუკი ორიოდ დღის წინ განამ შექმნა ბრაზილიელთა კართან სახიფათო მომენტები, უკრაინა იტალიის კარს რა ლოგიკით ვერ უნდა დამუქრებოდა?!

...მოდით, ოლეგ ბლოხინის მოთამაშეთა კინაღამ გატანილ გოლებზე ვთქვათ. შეგახსენებთ, რომ ყვითლების აქტიურობა მეორე ტაიმში დაიწყო, როდესაც ანგარიში 1:0 იყო იტალიელთა სასარგებლოდ და შესვენებიდან დაბრუნებულნი მატჩის ბედის ხსნას ცდილობდნენ. თავიდან ეს იყო ეპიზოდი, როდესაც უკრაინამ მარცხენა ფრთიდან შეუტია, მეტოქის საჯარიმოში დაბალი პასი გაჭრა და დაშავებული ალესანდრო ნესტასა და დისკვალიფიცირებული მარკო მატერაცის ნაცვლად მოთამაშე ანდრეა ბარძალიმ ბურთი კინაღამ თავის კარში ჩაჭრა. ამ ეპიზოდს ორიოდ წამში მარჯვნიდან მაღალი ჩაწოდება და შორეული ძელის ახლომახლოდან ანდრეი გუსინის თავური მოჰყვა, რომელიც დიდებულად უკუაგდო ჯანლუიჯი ბუფონმა, ოღონდ თავი ძელს მიარტყა. შემდეგ რაც იყო, იმას მწვავე შეტევა კი ჰქვია, მაგრამ, თუ გნებავთ, მაინცდამაინც სახიფათო მომენტს ნუ ვუწოდებთ — ფაბიო კანავარომ, რომელიც ამ ჩემპიონატზე უბადლოდ თამაშობს, ერთ ეპიზოდში ორჯერ „გაწმინდა“ თავისი გუნდის საჯარიმო. მერე იყო ის მომენტი, როდესაც გუსინის დარტყმული ბუფონმა მოიგერია, მაქსიმ კალინიჩენკოს დამატებულს კი ძამბროტა გადაეფარა.

შემდეგ გუსინმა ისევ მარჯვნიდან ჩაწოდებულს ჰკრა თავი და ძელს გაარტყა ბურთი; თამაშის მიწურულს, როდესაც ანგარიში უკვე 3:0 იყო, შევჩენკომ გააკეთა ეფექტური ბზრიალი, ოღონდ თანაგუნდელთან კედლის გათამაშების შემდეგ ძაკარდოსთან ბრძოლაში დაჯარიმდა.

ბევრი მომენტი ჰქონიათ უკრაინელებს? რა თქმა უნდა, ბევრი, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მათი დიდი ნაწილი ბედმა კი არ გააქარწყლა, არამედ ბუფონმა და კანავარომ, ეს ხალხი კი მოედანზე სწორედ ამისთვის იყო.

ახლა კი იტალიელთა ყოჩაღი შეტევების ამბავიც ვთქვათ. დავიწყოთ იმით, რომ „სკუადრა აძურამ“ პირველსავე წუთებზე გახსნა ანგარიში: ჯერ მაურო კამორანეზიმ მოსინჯა საჯარიმოს მისადგომებთან შევარდნა და დარტყმა, მე-6 წუთზე კი ჯანლუკა ძამბროტამ უკრაინელ ნახევარმცველებს ბურთი აართვა და ამავე მეთოდით გოლი გაიტანა.

შესვენების შემდეგ უკრაინელთა ზემოთ ჩამოთვლილ ორ მომენტს შორის იტალიამ მარცხნიდან კუთხური გაითამაშა — ტოტიმ ჩაჰკიდა, კანავარო ბურთს ვერ შესწვდა, ლუკა ტონიმ კი მეურვეს აჯობა და ანგარიში 2:0 გახადა. შემდეგ იყო მომენტი, როდესაც უკრაინელთა საჯარიმოში მაურო კამორანეზი შევარდა და... როგორ გითხრათ, თუ ის, რაც იტალიას ავსტრალიასთან დაარტყმევინეს პენალტი იყო, მაშინ... თუმცა, მოდი, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მსაჯ ფრანკ დე ბლეეკერს ვენდოთ, მან კი კამორანეზის წაქცევა არაფრად მიიჩნია.

იტალიელთა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ, როგორც ჩანს, თამაში მოგებულად მიიჩნია და ანდრეა პირლო და მაურო კამორანეზი მასიმო ოდოთი და სიმონე ბარონეთი შეცვალა. ოდო მისთვის ჩვეულ მარჯვენა ფრთაზე წავიდა ანუ ძამბროტა დაუბრუნდა მარცხენა მხარეს, სადაც უკვე რამდენი წელიწადია, თამაშობს. ვისღა ახსოვს ადრე იგი მარჯვენა მცველი და ნახევარმცველი რომ იყო. ჰოდა, თავის „საკლუბო“ ადგილზე დაბრუნებულმა მეტოქის საჯარიმოში ორ მცველს შუა შეინავარდა, დაბალი გაჭრა და იქ კვლავ მეურვეებზე მარდი ტონი დახვდა ბურთს, რომელსაც კარში შეგდებაღა სჭირდებოდა.

სხვათა შორის, შეხვედრის სულ ბოლო მომენტიც ტონის ჰქონდა...

პაპუნა კედია

გრემ პოლი პატარებში დაუსტვენს

ინგლისელი მსაჯი გრემ პოლი დიდ სანაკრებო ტურნირებზე აღარ იმსაჯებს. ამის შესახებ მან გუშინ განაცხადა. პოლი მას შემდეგ გაუშვეს სახლში, რაც ხორვატია-ავსტრალიის მატჩში იაღლიში მოუვიდა. შეგახსენებთ, რომ ხორვატი იოსიპ შიმუნიჩი ორჯერ გააფრთხილა და წითელი ბარათის ამოღება დაავიწყდა. შედეგად, შიმუნიჩი მოედანზე დარჩა და თამაშის ბოლოს მესამე ყვითელი ბარათი რომ მიიღო, მერელა მიხვდა მსაჯი შეცდომას და გააძევა.

„ჩემი დრო დასრულდა, ახლა სხვა ინგლისელმა მსაჯმა უნდა განაგრძოს — განაცხადა პოლმა — ვაღიარებ, რომ ხორვატია-ავსტრალიის შეხვედრაში შევცდი. ეს გასარჩევი აღარაა. ასეთ შემთხვევაში არბიტრმა პასუხი უნდა აგოს. გულწრფელად გეტყვით, მატჩის შემდეგ ისე ვინერვიულე, რომ ორი ღამე არ მეძინა“.

გრემ პოლს, ვისაც 26-წლიანი გამოცდილება უმაგრებს ზურგს, ფიფამ და კოლეგებმა სთხოვეს, კვლავაც გააგრძელე დიდ ტურნირებზე მსაჯობაო, მაგრამ ინგლისელმა იუარა. იგი მხოლოდ პრემიერლიგელებისთვის დაუსტვენს.

ვაჟა ხუციშვილი

საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე **25** თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში **12** თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის
წამობრივი
აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

და ღაი-ღაის აბონენტთათვის.

GEO ჯეო

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006

და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე

და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ეთანხმება ჯეოსელის



FIFA WORLD CUP GERMANY 2006

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

მეოთხედფინალი

გერმანია 1:1(დ.დ.(პენ.4:2) არგენტინა

№57. 30 ივნისი. 19.00. ბერლინი. „ოლიმპიაშტადიონი". 72 000 მაყურებელი

0:1 აიალა (49), 1:1 კლოზე (80)

პენალტები: 1:0 ნოივილი, 1:1 კრუზი, 2:1 ბალაკი, 2:1 აიალა (მეკარე), 3:1 პოდოლსკი, 3:2 მაქსი როდრიგესი, 4:2 ბოროვსკი, 4:2 კამბიასო (მეკარე)



შეცვლა: შნაიდერი – 22. ოდონაორი (62), აბონდანსიერი – 12. ლეო ფრანკო (71), რიკელმე – 5. კამბიასო (72), შვაინშტაიგერი – 18. ბოროვსკი (74), კრესპო – 20. ხ. კრუზი (79), კლოზე – 10. ნოივილი (86)

გაფრთხილება: პოდოლსკი (3), სორინი (46), მასკერანო (60), მაქსი როდრიგესი (88), ოდონაორი (94), კრუზი (95), ფრიდრიხი (114)

გაძევება: კუფრე (120, არგენტინა, სათადარიგო)

მსაჯები: ლუბოშ მიხელი;
რომან სლისკო, მარტინ ბალკო (სლოვაკეთი)

23	ჯარიმა	32
4	კუთხური	6
10	ყარისკენ დარტყმა	12
5	ყარში დარტყმა	5
3	თამაშგარე	3
42	ბურთის ფლობა პროცენტულად	58

გერმანიამ ოპტიმიზმის ბურთი გაბერა

AFP ბერლინიდან

დავით გულუა
ბერლინიდან

იურგენ კლინსმანს მართებს თავის ფეხბურთელებს ტელევიზორი გაუთიშოს და გრიუნვალდის „შლოს-ოტელიდან" გამოსვლა აუკრძალოს. ისტერიამდე მისული გერმანული ოპტიმიზმი უეჭველად ცუდი მსახური გახლდათ მასპინძელთა რჩეული თერთმეტეულისთვის არგენტინასთან გუშინდელ მეოთხედფინალურ თამაშში, თორემ, ვის გაუგია, გერმანელი მცველი მეტოქეს ბურთს ისე აბარებდეს, რაც მატჩის მეორე ტაიმში ბარე ორჯერ მოხდა არგენტინის 1:0-სას. კმაროდა ლათინთა ოდნავ მეტი სიზუსტე, რომ დღეს უკვე ვეებერთელად ქცეული გერმანული ენთუზიაზმის ბურთი ერთ წამში დაჩუტულიყო.

მაგრამ ფორტუნამ გადაწყვიტა, არ გაეწბილებინა თამაშზე მისული მასპინძელნი: კაიზერი, პრეზიდენტი, კანცლერი და მერი, ბერლინის ფანთა საფიხვნოზე შეკრებილი მილიონი ადამიანი და არანაკლები ოდენობით სალუდეებსა და კაფეებში მსხდომნი, ამიტომ დამხვდურებს ოდნავ წამოეხმარა, ხოლო შემდეგ ფეხბურთელებმა თავისი წილი საპენალტო საქმეც ფრიადზე შეასრულეს და, მოკლედ, გერმანია მთავარ ოთხეულშია, ხოსე პეკერმანის ლაშქარი კი ნათამაშევს მცირე გაფიცხების შემდგომ ყურჩამოყრილი მიდის არგენტინისკენ.

თამაში გიუნტერ ნეტცერის ნაწინასწარმეტყველები სცენარით წარიმართა. 70-იანების განთქმული ფეხბურთელი და მსოფლიოს ჩემპიონი გერმანიის საზოგადოებრივი არხის საფეხბურთო ექსპერტია და, მრავალთაგან განსხვავებით, ფრიად საღ პროგნოზებსა და ანალიზებს აკეთებს. ნეტცერმა თითქმის გამორიცხა ლამაზი ფეხბურთი და ეს ასეც მოხდა: მხარეები თავიდანვე საკუთარ ტაქტიკურ სქემებს მისდევდნენ და ნელნელა ცდილობდნენ ინიციატივის ხელში ჩაგდებას. თუ პირველ წუთებში გერმანია უფრო აგრესიული იყო, ამან შედეგად მხოლოდ ლუკაშ პოდოლსკის გაფრთხილება მოიტანა და იმანაც სიფრთხილეს უხმო, არგენტინამ კი თანდათან ტემპს მოუმატა და ბურთის მეტი დროით ჰყრობა მოახერხა, თუმცა ტაიმი ისე გასრულდა, რომელიმე გუნდის მეკარეს სერიოზული სამუშაო არ ჰქონია.

ტირგარტენში, 17 ივნისის ქუჩაზე თავმოყრილმა მილიონმა ფანმა სულის მოთქმა გადაწყვიტა და ლუდის დახლებს მიაშურა მეორე ტაიმისთვის მოსამზადებლად. აქ საზოგადოება მხიარულად განიხილავდა ნათამაშევის დეტალებს, თავისიანთა (ესე იგი, გერმანელთა) გოლს ელოდა და მოითხოვდა მეორე ტაიმში და მოწონების ღრიალით შეეგება ბურთის ხელახალ გაგორებას „ოლიმპიაშტადიონზე". ხალხი ჯერ კიდევ იკვლევდა გზას გიგანტურ ეკრანთა წინ უფრო მოხერხებული ადგილების მოსაძებნად, რომ ჩამობნელდა: ხუან რომან რიკელმემ თავისი ნატიფი კუთხური ჩააწოდა, რობერტო აიალამ ჟირაფივით გამოჭიმა კისერი, ხოლო იენს ლემანს კარის ხსნა კი შეეძლო, მაგრამ ვერ შეძლო: 0:1 და 42 დარჩენილი წუთი გერმანიის კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

„ერთი თამაშის წაგებაც კმარა — თქვა კლინსმანმა მატჩამდე — რომ ყველაფერი თავიდან დაიწყოს: რატომ დაცვიდან არ ვითამაშეთ? რატომ ვნერგავთ სიახლეებს, რომლებიც არავის სჭირდება? და ასე შემდეგ, ჯრადა რასაც მე ვნერგავ, სიახლე არ არის, ასე თამაშობენ „ბარსელონა", „არსენალი" და „აიაქსი". მათსა და გერმანულ ფეხბურთს შუა უფსკრულია."

მოხვდებოდა კლინსის და მერე როგორ: რაც ნაკრებს ხელმძღვანელობს, მის შემდეგ უჩიჩინებენ, დაცვა არ გივარგაო და იტალიასთან ამხანაგურ 1:4-ს უტრიალებენ თვალწინ. გუშინდელი მატჩის წაგებაზე გემრიელი ლუკმა პრესას და სპეციალისტებს ვერაფრით ჩაუვარდებოდათ ხელში, რადგან გაშვებული გოლის შემდეგ გერმანელთა თავდასხმა ერთხანს ვერაფერს ქმნიდა, დაცვა კი ისე მოინუსხა, ერთი-ორჯერ მაისურის ფერები აერია. არ გამტყდარან მხოლოდ ფანები, არც ტრიბუნებსა და არც საფიხვნოზე.

„მიდი შვაინი! შეაგდე ღორუკავ!" — უყვიროდა ხალხი, მაგრამ ბასტიან შვაინშტაიგერი გუშინ ვერ ვარგოდა და კლინსმანმა შეცვალა. ფანები ცალკე სიმულაციისთვის დედას აგინებდნენ არგენტინელთა მეკარე აბონდანსიერის, რომელიც აკი მართლა დაშავებულიყო და მისი გაჭიანურებული გაყვანის შემდეგ 29 წლის სათადარიგო ლეო ფრანკო ჩადგა კარში. ფრანკოს 20 წუთი უნდა გაეძლო გოლის გაუშვებლად, მაგრამ მე-80-ზე მიხაელ ბალაკმა ბურთი თავზე დაასკუპა ტიმ ბოროვსკის, იმან თავის მხრივ მიროსლავ კლოზეს და გერმანია დაცემას გადაურჩა — 1:1.

დამატებით დროში ბურთს ტყვიაჩასხმული ფეხები აგორებდნენ, მთავარი ამოცანა გოლის არგაშვება იყო. ერთი მხოლოდ არგენტინელმა კოლჩინიმ მოაფერა ბურთი გერმანელთა კარის ხარიხას, ოღონდ ძლიერ შორიდან და ისე ჩანდა, ცოტა ქვევით რომ წასულიყო, ლემანი იმ ბურთს მოათვინიერებდა.

პენალტებში კი გერმანიის სიმტკიცე ცნობილია, ხოლო ლეო ფრანკოს მაგალითი კი ჰქონდა სერხიო გოიკოეჩეასი, რომელიც 1990 წლის მუნდიალზე ასევე სათადარიგოთა სკამიდან ჩადგა კარში და თავის გმირობით არგენტინის ფინალში გასვლა დიდად განაპირობა, მაგრამ გმირობას გამეორება სჭირდება და ლეო ფრანკომ ეს ვერ მოახერხა.

იურგენ კლინსმანის სასამართლო გადაიდო. ვინძლო, სულ არ შედგეს.

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მეოთხედფინალი. დღეს

ინგლისი ბლატერის ყბაში



AFP

ნევილმა ფიფას პრეზიდენტი ყურიდან ყურში გაუშვა

ინგლისი — პორტუგალია

გელზენკირხენი. „აუფ შალკე“. 19.00

1. რობინსონი; 2. ნევილი, 5. ფერდინანდი, 6. ტერი, 3. ე. კოული; 7. ბექემი, 8. ლამპარდი, 16. ჰარგრივსი, 4. ჯერარდი, 11. ჯ. კოული; 9. რუნი მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი	1. რიკარდუ; 13. მიგელი, 5. ფ. მეირა, 16. რ. კარვალიუ, 14. ნუნუ ვალენტე; 8. პეტიტი, 18. მანიშე; 17. კ. რონალდუ, 7. ფიგუ, 11. სიმაო; 9. პაულეტა მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

მსაჯი: ჰორაციო ელიზონდო (არგენტინა)



AFP

ბლატერის კრიტიკას ნევილიც გამოეხმაურა

სვენ გორან ერიკსონს ბევრი კრიტიკოსი ჰყავს. მას ახლაც ლანძღავენ, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრები მეოთხედფინალში ისე გავიდა, რეალური ძალა არც უჩვენებია. თუმცა დღეს შვედს შანსი აქვს, კრიტიკოსები ცოტა ხნით მაინც გააჩუმოს, თუ ლუიშ ფელიპე სკოლარის აჯობებს. „დიდი ფილი“ კი ის კაცია, რომელმაც ერიკსონის ინგლისი ჯერ 2002 წლის მუნდიალიდან ბრაზილიით გაუშვა სახლში, ხოლო მერე 2004 წლის ევროპის ჩემპიონატიდან — პორტუგალიით.

„არ ვთვლი, რომ ეს ჩემი და სკოლარის დაპირისპირებაა. რა თქმა უნდა, ესეც არის, მაგრამ მთავარი ინგლისი-პორტუგალიაა. ეს მუნდიალის მეოთხედფინალია და პირადი დუელები მეორე პლანზე გადადის, ამაზე არც ვფიქრობ. მთავარია, მოვიგოთ და ეს ნამდვილად შეგვიძლია. რაც შეეხება ჩემს კრიტიკას, ყურადღებას არ ვაქცევ. 30 წელი ერთი და იგივე მეორდება: როდესაც გუნდი მარცხდება, ეს მწვრთნელის ბრალია და იწყება მისი კრიტიკა. მე კი აქამდე არ შევცვლილვარ, და მომავალშიც არ შევიცვლები“ — აღნიშნა ერიკსონმა.

ორი წლის წინ პორტუგალიამ ინგლისს პენალტებში მოუგო და ევრო 2004-ის ფინალს უწია. თუმცა ერიკსონისა და მისი შეგირდების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მაშინ ლუზიტანები საკუთარ კედლებში თამაშობდნენ, ხოლო სოლ კემპბელს გოლი საეჭვოდ არ ჩაუთვალეს. თანაც დღეს სკოლარის ორი ლიდერი, დეკუ და კოშტინია არ ეყოლება, რომლებიც დისკვალიფიცირებულნი არიან.

მატჩს, ფაქტობრივად, უდანაკარგოდ ხვდებოდა ინგლისი, მაგრამ ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე ფრენკ ლამპარდმა ტრავმა მიიღო, რომელიც, შესაძლოა, სერიოზული გამოდგეს. თუმცა ექიმებსა და ერიკსონს იმედი აქვთ, რომ „ჩელსის“ ლიდერი მინდორზე გამოვა.

სავარაუდოდ, ერიკსონი ისევ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშებს და ტაქტიკა 4-1-4-1 იქნება. ძირითადში ელიან მომჯობინებულ გარი ნევილს. მცველების წინ ოუენ ჰარგრივსი იქნება, ხოლო უეინ რუნის შეტევაში ფრენკ ლამპარდი, სტივენ ჯერარდი, დევიდ ბექემი და ჯო კული დაეხმარებიან. არადა, ერთი თავდამსხმელით თამაშის გამო ერიკსონი ვინ აღარ გააკრიტიკა — მარადონათი დაწყებული, ფიფას პრეზიდენტ ბლატერით დამთავრებული.

„ძალიან მიხარია, რომ ნაკრებები, ძირითადად, შემტევ ფეხბურთს თამაშობენ. ერთადერთი გამონაკლისი ინგლისია, რომელმაც ერთი ფორვარდით ითამაშა. ჩემპიონობის მაძიებლისგან ამას არ ველოდი“ — თქვა ცოტა ხნის წინ ბლატერმა, რომლის კომენტარზეც პასუხებმა არ დაახანეს.

სვენ გორან ერიკსონი: „ჩვენ ვცდილობთ, კარგი ფეხბურთი ვითამაშოთ, მთავარი კი მოგებაა, ესთეტიკურ მხარეს პირველ ნომრად არ ვაყენებთ. მაგალითად, განამ, კოტ დივუარმა, ჰოლანდიამ და ესპანეთმა ძალიან ლამაზად ითამაშეს, მაგრამ ახლა სად არიან? სახლში. ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონატის მოსაგებად ყველა საშუალება უნდა გამოიყენო. თუ ეგრეთ წოდებული ცუდი ფეხბურთის თამაშია საჭირო, ესეც უნდა გააკეთო, რომ დადებითი შედეგი მიიღო“.

„ნამდვილად არ გვაღელვებს, რას ილაპარაკებს ხალხი. ბევრმა ნაკრებმა უფრო მიმზიდველი თამაში აჩვენა, მაგრამ ისინი მუნდიალს გამოეთიშნენ. ჩვენ კი მეოთხედფინალში ვართ და მთავარი ესაა, დროა, ბოლომდე დავიხარჯოთ. ჩემპიონობის კარგი შანსი გვაქვს. ჯერ ისე არ გვითამაშია, როგორც შეგვიძლია, ეს ყველამ იცის“ — აღნიშნა ინგლისელთა კაპიტანმა დევიდ ბექემმა.

გარი ნევილი: „ბლატერის და მისი მსგავსი კომენტარებისთვის ყურადღების მიქცევა არ ღირს. მე და ჩემს თანაგუნდელებს მხოლოდ ის გვაღელვებს, რომ მეოთხედფინალი გვაქვს სათამაშო და უნდა მოვიგოთ. სწორედ ახლაა დრო, ჩვენი ნამდვილი სახე ვაჩვენოთ და გავიმარჯვოთ. თუ ასე არ მოხდა, ხელები უნდა ავწიოთ, ქომაგებს მოვუბოდიშოთ და ვაღიაროთ, რომ საუბრები ჩვენს ფავორიტობაზე სისულელე იყო“.

პორტუგალიელთა კაპიტანი ლუიშ ფიგუ: „ჩვენ ისტორიაში შესვლის შანსი გვაქვს. ბოლოს ნახევარფინალში 1966 წელს ვიყავით და ამ შედეგის გამეორება გვინდა. მსოფლიოს ჩემპიონობაზე ფიქრი ჯერ ადრეა, ახლა მხოლოდ ინგლისთან მატჩზე უნდა მოვახდინოთ კონცენტრირება. მეტოქე ძლიერია და დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ, გვჯერა, ეს შეგვიძლია. მიმდინარე მუნდიალზე უკვე ვაჩვენეთ როგორი ბრძოლისუნარიანებიც ვართ. მართალია, ინგლისიც უაღრესად მებრძოლი გუნდია, მაგრამ ამაშიც უნდა ვაჯობოთ. სტატისტიკას და ისტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმც მინდორზე ეს არ გეხმარება და გადამწყვეტი არ არის. წინ მძიმე ბრძოლა გველის“.

დაბოლოს, ლუიშ ფელიპე სკოლარისაც მოვუსმინოთ: „ეს იქნება პორტუგალიური და ინგლისური მებრძოლი სულების შეჯახება. ასე რომ, წინ ძალიან ემოციური სანახაობა გველის. მატჩის წინ ფეხბურთელებს ვეტყვი, გაიხსენონ, რომ რვა საუკეთესოს შორის არიან და ისიამოვნონ ინგლისის ნაკრებთან თამაშით. რაც შეეხება ჩვენსა და ინგლისელთა სტილს, მინდა გითხრათ — ისეთი მწვრთნელი ვარ, რომელსაც, პირველ რიგში, სასურველი შედეგის მიღწევა უნდა. ვერ ვიტყვი, რომ ლამაზად თამაში ჩემთვის მთავარია. ისინი, ვინც მიმზიდველად თამაშობდნენ და აქცენტს ამაზე აკეთებდნენ, ახლა სახლში არიან“.

გიორგი კაკაბაძე

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მეოთხედფინალი. დღეს

ახდენილი ოცნება

სამფეროვანი ტრიუმფი ტეტრა და ჰენტაპამპეონობას შორის

ბრაზილია — საფრანგეთი

ფრანკფურტი. „ვალდშტადიონი“. 23.00

1. დიდა; 2. კაფუ, 3. ლუსიო,
4. ჟუანი, 6. რობერტო კარლოსი;
8. კაკა, 17. ჟილბერტო სილვა,
11. ზე რობერტო, 10. რონალდინიო;
9. რონალდო, 23. რობინიო
მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პარეირა

16. ბარტეზი; 19. სანიოლი,
15. ტურამი, 5. გალასი,
3. აბიდალი; 4. ვიეირა,
6. მაკელელე; 22. რიბერი,
10. ზიდანი, 7. მალუდა; 12. ანრი
მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)





ამბობენ, რომ ზინედინ ზიდანის საუკეთესო მოგონებები რონალდოს კოშმარს ემთხვევა და წარსულიდან ამოსული ეს ორი აჩრდილი დღეს ფრანკფურტის „ვალდშტადიონზე“ მოიყრის თავს — საფრანგეთი და ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალს თამაშობენ.

ძნელი მისახვედრი არ არის, რა მოგონებებზეა საუბარი — 1998 წლის 12 ივლისს პარიზში, „სტად დე ფრანსზე“, მაშინდელი მუნდიალის ფინალში სამფეროვნებმა ბრაზილიელებს 3:0 მოუგეს და ამ სამი გოლიდან ორი სწორედ ზიდანმა გაიტანა.

იმ და დღევანდელ ჩემპიონატებს შორის კიდევ ერთი იყო, რომელშიც ბრაზილიამ გაიმარჯვა და მეხუთედ მოიგო დედამიწის საუკეთესო გუნდის ტიტული. ფრანგებმა პირიქით, 2002-ში უსახურად ითამაშეს და ჯგუფური ეტაპიდანვე დატოვეს შეჯიბრება, თან ისე, რომ მოგებას ვინღა ჩივის, ერთი გოლის გატანაც კი ვერ მოახერხეს....

მოკლედ, ადრინდელ ეპოქებს თავი რომ დავანებოთ და მარტო ბოლო რვა წელიწადი განვიხილოთ, დღევანდელ შეხვედრას მაინც მოვუძებნით დიდ „ახლოისტორიულ“ ინტრიგას — ბოლოს და ბოლოს, დღევანდელ გუნდებში ჯერ კიდევ თამაშობენ რვა წლის წინანდელი ფეხბურთელები: რონალდო, კაფუ, რობერტო კარლოსი, ემერსონი ზიდანი, ბარტეზი, ვიეირა, ტურამი და ტრეზეგე... იყო დიდაც, ოღონდ არ უთამაშია.

ბრაზილიელთა თავკაცი კარლოს ალბერტო პარეირა ამბობს, რომ მისი გუნდის ახლანდელ გრძნობებს შურისძიებასთან საერთო არაფერი აქვს:

„შურისძიების ატმოსფერო ჩვენს გუნდში არ ტრიალებს. ჩვენ საფრანგეთის წინააღმდეგ მორიგ გადამწყვეტ მატჩს ვთამაშობთ. ეს ისეთივე შეხვედრაა, განასთან რომ გვქონდა“.

პარეირამ ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში იაპონიასთან, თავისი გუნდი გადასხვაფერებული შემადგენლობით ათამაშა, თუმცა განასთან შეხვედრაში მწვრთნელი ისევ თავდაპირველად არჩეულ თერთმეტეულს დაუბრუნდა და როგორც გახსოვთ 3:0 მოიგო.

არ არის გამორიცხული, რომ გვარიანი წვალების შემდეგ ყველაზე მოხერხებულ ფორმულას მიაგნო სამფეროვანთა თავკაცმა რაიმონ დომენეკმაც. საუბარია 4-5-1 განლაგებაზე, რომლითაც დომენეკის შეგირდებმა ესპანეთს მოუგეს 3:1.

რა პრობლემები აქვთ მხარეებს? პარეირას კაკასა და ემერსონის მუხლები ადარდებს. როგორც ერთმა ასევე მეორემ განასთან შეხვედრაში მიიღეს პატარა ტრავმები, დომენეკს კი ზიდანის ფეხი აფიქრებს — კაპიტანმა ხუთშაბათის ვარჯიში გამოტოვა, თუმცა როგორც ფრანგების პრესმდივანმა თქვა ეს უფრო ესპანეთთან მიღებული ტრავმის გამიზეზებისგან თავის დაზღვევა იყო. მოგეხსენებათ, ზიდანი ფეხბურთიდან მიდის და მისთვის ყველა თამაში ფინალურია.

„ჩვენ ახლა ესპანეთთან შეხვედრაზე უკეთ უნდა ვითამაშოთ. მწამს, ეს შეგვიძლია, რადგან, ვხედავ, რომ გუნდი მეტოქეებს აღღოს ულებს და თავის თამაშსაც ხვეწს“— თქვა დომენეკმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე.

ბუნებრივია, ზიდანის მსგავსად ყურადღების ცენტრშია მისი მადრიდელი თანაგუნდელი რონალდოც, რომელმაც თავის მესამე მსოფლიო ჩემპიონატზე მე-15 გოლი გაიტანა და მუნდიალებზე გატანილი გოლებით რეკორდსმენი შეიქნა. რონალდომ განასთან შეხვედრაში ლეგენდარული გერდ მიულერის რეკორდი გააუმჯობესა.

დაბოლოს, სამფეროვანთა ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა ჭეშმარიტი ნათქვამით: „ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნება მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა და იქ ბრაზილიასთან თამაშია...“

დანარჩენი კი დღეს საღამოს 11 საათზე იქნება.

პაპუნა კედია

გამაგებინეთ, რა არის ლამაზი ფეხბურთი?

ზოგი მწვრთნელი მთელი მატჩის განმავლობაში მოედნის კიდესთან ცმუკავს და ისე იქცევა, გეგონებათ მოედანზე შევარდნას ეშურებაო. არიან ისეთები, რომლებიც ყოველ მატჩში ცვლიან შემადგენლობას და ტაქტიკას ანუ ისე გამოდის, რომ მათი მანიპულაციები ფეხბურთელების თამაშზე მნიშვნელოვანია. აი, ბრაზილიის ნაკრების თავკაცი, კარლოს ალბერტო პარეირა კი მის თანამემამულე ჟურნალისტს, მარიო ანდრადას იმ ადამიანს აგონებს, რომელიც გაჩერებაზე ჩამომჯდარა და მშვიდად ელოდება შემდეგ ავტობუსს



პარეირას შემყურე ძნელია წარმოიდგინო, რომ ეს კაცი მხრებით, ფეხბურთზე გაგიჟებული 180 მილიონი ადამიანის ოცნებას და იმედს ზიდავს, ხოლო მისი შეგირდები დედამიწის ყველაზე ნიჭიერი და მდიდარი ვარსკვლავების რიცხვს განეკუთვნებიან.

დიახ, სპორტის იმ სახეობაში, სადაც მწვრთნელები ყოველწლიურად მეტ და მეტ მნიშვნელობას იძენენ, პარეირა რჩება ადამიანად, რომელიც ამტკიცებს, რომ მთავარი ფეხბურთელია.

„ჩემი სტილი ასეთია — აუხსნა პარეირამ სააგენტო „როიტერის“ ჟურნალისტს — არ მიყვარს, როდესაც მთავარი ფიგურა ვარ და ჩემზე მიუთითებენ. დიახ, ჩემი პროფესია აქეთკენ მექაჩება, მარგამ ვცდილობ თავი დავიძვრინო. ბრაზილიაში, ბოლო ორი თვის განმავლობაში, ჩემზე გაცილებით მეტი ითქვა, დაიწერა და გადაიცა, ვიდრე თავად მინდოდა. სულ ვცდილობ ჩემი პერსონისადმი ინტერესი არაფრით გავზარდო, მაგრამ აკი გითხარით, პროფესია მაქვს ასეთი“.

კარლოს ალბერტო პარეირამ კარიერა 1960-იან წლებში განაში დაიწყო და მისი ბედი ისე წარიმართა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მოგზაური მწვრთნელი გახდა. მწვერვალი კი რა თქმა უნდა 1994 წელს ჰქონდა, როდესაც ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა.

კიდევ, პარეირას გაუწვრთნია ქუვეითი 1982 წელს, არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრები 1990 წელს და საუდის არაბეთი 1998-ში.

საინტერესოა, რომ მას ფეხბურთი პროფესიულ დონეზე არასდროს უთამაშია და არც ევროპული საფეხბურთო-სამწვრთნელო ცხოვრების ორომტრიალში ყოფილა. ერთი სიტყვით, 1994 წლის ჩემპიონობა რომ არა, პარეირას მაღალი რეიტინგის მქონე სპეციალისტად ვერავინ დაგისახელებდათ.

იგი ვერ იტანს დახურულ ვარჯიშებსა და ტაქტიკურ ცვლილებებს. სწამს, რომ მისი ამოცანა ისეთი სათამაშო ჩარჩოს შექმნაა, რომელიც ფეხბურთელებს ნიჭის მაქსიმალურად გამოვლენაში დაეხმარება. იგი არასდროს თამაშობს „შემადგენლობის დამალობანას“ — თუ რა შემადგენლობით აპირებდა თამაშს მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში ხორვატიასთან, ხუთი კვირით ადრე თქვა, ოღონდ, ხშირად ესმის საყვედური, რომ მისი ფეხბურთი ფრთხილი და არაბრაზილიურია. ასე განსაჯეთ, 1994 წელს პარეირამ ბრაზილიის ნაკრებს 24 წლიანი წარუმატებლობა დაუსრულა, ისევ აიყვანა საფეხბურთო მწვერვალზე, მაგრამ ის მაინც აკრიტიკეს. იგივე ხდება ახლაც, როდესაც პარეირას გუნდი მეოთხედფინალშია.

„გამაგებინოს ვინმემ, რა სავალდებულოა მაინც და მაინც ბრაზილიამ ითამაშოს სანახაობრივი ფეხბურთი ან გამაგებინეთ რომელია ასეთი ფეხბურთი? როდესაც გერმანია მეტოქეებს ავიწროვებს და სწრაფ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს ყველა ამბობს, რომ ეს ძალიან კარგი სანახავია. მაშ, რა არის ჩვენს გუნდში გაუგებარი? ვეღარ გავიგე რას გულისმობს ეს ხალხი, მე ვიცი რომ ლამაზი, გოლების გატანა და თამაშების მოგებაა. სხვა თემაა, რომ ბრაზილიის წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს. მაგალითად, განამ ჩვენს წინააღმდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ითამაშა, ჩვენთვის კი ეს მერვედფინალური შეხვედრა იყო“.

პაპუნა კედია

რობერტო კარლოსი: უტვინოებმა!

დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ბრაზილიისა და საფრანგეთის ნაკრებები ითამაშებენ. ბედის განგებით, ერთურთს ძველი მეგობრები, რობერტო კარლოსი და ზინედინ ზიდანი შეერკინებიან. თამაშის წინა დღეს მადრიდული „ასი“ რობერტო კარლოსს გაესაუბრა და ბრაზილიელმაც აღნიშნა, ზიზუმ დიდი ფეხბურთიარ უნდა დატოვოსო. ოკეანისგაღმელმა მცველმა სამომავლო გეგმებზეც ილაპარაკა. რობერტოს მადრიდის „რეალში“ დარჩენა სურს, ოღონდ ხვდება, რომ ეს ძნელი საქმეა...

— წინ საფრანგეთი გელოდებათ...

— გათამაშების ამ ეტაპამდე იოლად არ მოვსულვართ, რადგანაც მუნდიალი რთული ტურნირია. საქმე ზუსტად ისე მიდის როგორც თავიდან გვინდოდა.

იმის მაგივრად, რომ პირველივე მატჩში გადასარევად გვეთამაშა და მერე სადმე მერვედფინალში გავვარდნილიყავით, თამაშს ნელ-ნელა ვუმატეთ და ფინალისთვის ყველაზე მაღალ დონესაც მივაღწევთ.

— მუნდიალზე სიამოვნებას იღებთ თუ დაძაბულობა გიშლით ხელს?

— დაძაბულობას და „წნეხს“ მიჩვეულნი ვართ და ვცდილობთ, მსოფლიოს ჩემპიონატით დავტკბეთ. ბოლოს და ბოლოს ჩვენ რჩეულები ვართ, ქვეყანამ ურიცხვი ბრაზილიელი ფეხბურთელისგან, მუნდიალზე ბრძოლა ამ 23 კაცს მოგვანდო. ვიცით, რომ ბრაზილიური მედიისგან ზეწოლა ძალიან დიდია. პრესა გაფაციცებით ცდილობს, რონალდოს, რონალდინიოს და რობერტო კარლოსს რაიმე პრობლემა ამოუჩიჩქნოს... თუმცა ჩვენი ოჯახებისთვის და ჭეშმარიტი გულშემატკივრებისთვის მაინც გავიმარჯვებთ.

— ეს თქვენი ბოლო მუნდიალია?

— ალბათ კი. მინდა, კიდევ დავრჩე, მაგრამ ფეხბურთში ხშირად ბევრ უსამართლობას აწყდები. ისეთი ხალხი გაკრიტიკებს, რომელიც არც კი გიცნობს. არსებობს ისეთი ჟურნალისტი, რომელიც მხოლოდ პირადი წყენის გამო მლანძღავს. მისთვის სულერთია ფეხბურთში რას მივაღწიე. უკვე იმდენი ჯილდო მოვიგე, რომ ხშირად გული მერევა, სიბილწეებს რომ ვაწყდები. მეგობრებს ვეუბნები ძალიან დავიღალე-მეთქი.

— მსოფლიო ჩემპიონატი დამქანცველია?

— დიახ და განსაკუთრებით ბრაზილიელი ფეხბურთელებისთვის. 50 დღით ვიკრიბებით, რათა 7 მატჩი ვითამაშოთ. ჩაკეტილები ვართ, ოჯახებთან კონტაქტი ძალიან მცირეა. ყოველდღე ერთი და იგივე სახეებს ხედავ და იგივეს აკეთებ...

— და დრო როგორ გაგყავთ?

— ჭამა, დასვენება, ვარჯიში, ინტერნეტი, ოჯახთან საუბარი... მაგრამ 24 საათი მაინც ძალიან ბევრია.

— ნაკრების ლიდერი ვინ არის?

— კაფუ.

— მაგრამ მე მითხრეს, რომ პენტაკამპეონთა ლიდერი რობერტო კარლოსია...

— კაფუს შემდეგ ყველაზე ვეტერანი მართლაც მე ვარ. ვცდილობ, გუნდში არსებული პატარა პრობლემები არ გავამწვავო. თუ რაიმე უთანხმოება გვაქვს, ვცდილობ, ისე მოვაგვარო ეს ამბავი, რომ უცხოებმა ვერაფერი გაიგონ. 143 თამაში ჩავატარე ნაკრებში და მარტო 16 წავაგე. ვთვლი, რომ ეს დიდებული რეკორდია და ვამაყობ, როცა ახალგაზრდა ფეხბურთელები პატივისცემით მიყურებენ.

— ხვდებით, რომ დიდსაფეხბურთო ისტორიას მიეკუთვნებით?

— დღეს ნაკლებად ვფიქრობ ამის შესახებ. მერეც საკმარისად მექნება დრო იმაზე მსჯელობისთვის, კლუბისა თუ ნაკრებისთვის რა გამიკეთებია.

— საფრანგეთთან მძიმე მატჩის გექნებათ...

— დიახ. მილიონჯერ ვუთხარი ზიდანს, ფეხბურთისთვის თავი არც მუნდიალის მერე დაენებებინა. თუ ბრაზილიამ მოიგო, მინდა, რომ ზიდანი ფეხბურთში დარჩეს და თუ პირიქით მოხდა, ზიზუს წარმატებებს და კარიერის გაგრძელებას ვუსურვებ. ჩემი თავიდან მოშორება არც ისე ადვილია. ყველანაირად ვთხოვ ზინედინ ზიდანს, თავისი წასვლით მსოფლიოს ფეხბურთი არ დააობლოს. ზიზუსნაირი კაცი 35,40 და 50 წლისაც კი იჯადოქრებს ბურთთან ერთად.

— იმ ხალხს რას ეტყოდით, ვინც თვლის, რომ ზიდანმა თავისი თავი ფეხბურთში უკვე ამოწურა?

— ვეტყოდი, რომ უტვინოები არიან. ჩემი აზრით, ზიდანმა „რეალში“ თამაში უნდა გააგრძელოს. ესპანური ლიგა ზიზუს უქმნის იმის პირობას, რომ მსოფლიოში პირველი იყოს...

— რას ფიქრობთ ბრაზილია — საფრანგეთის ჯახზე?

— დიდებული მატჩი იქნება. საფრანგეთი ბოლო ორ მატჩში გამოსწორდა და მათი თამაში 1998 წლის ნაკრებისას წააგავს. თუმცა მეოთხედფინალს ბრაზილიაც დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდება. ჩვენს გუნდს საკუთარი, განუმეორებელი ისტორია აქვს და დიდი ფეხბურთელებიც გვყავს. საფრანგეთთან ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ და დავამტკიცებთ, რომ ბრაზილიას ჩემპიონობა ეკუთვნის.

— ფრანგთაგან ყველაზე მეტ საფრთხეს ზიდანისგან უნდა ელოდეთ?

— რიბერი ძალიან სწრაფი და კარგი მოთამაშეა, ანრი დიდოსტატი, მალუდაც შესანიშნავია და კაპიტან ზიზუზე ხომ არაფერს ვამბობ. ყველაზე მეტი საფრთხე ბრაზილიას ამათგან შეექმნება.

— რომელს უფრო კარგი შემადგენლობა ჰყავს, საფრანგეთს თუ ბრაზილიას?

— ორივე თითქმის თანაბარი გუნდია. ზიდანი იყო და ყოველთვის ლეგენდად დარჩება, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ თანამედროვე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი რონალდინიო გვყავს. ასევე ჩვენთან თამაშობს მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელი რონალდოც.

— საფრანგეთის ნაკრების სუსტ მხარეებზე ვისაუბროთ...

— ამ საფეხბურთო სიმაღლეზე ნაკრებებს სუსტი წერტილები არ გააჩნიათ.

— რონალდო მართლა მსუქანია?

— არა, რადგან ადრე ტრავმები აწუხებდა, კუნთების განვითარებას მიჰყო ხელი და ამიტომაც ეჩვენება ხალხს მსუქნად. არავინ არაფერში მოტყუვდეს, რონი კუნთებითაა დახუნძლული და „გასიებული“ არ არის...

— ესპანეთ-საფრანგეთი თუ ნახეთ?

— დიახ. კარგი იქნებოდა, მეოთხედფინალში ერთმანეთს ბრაზილიის და ესპანეთის გუნდები შეხვედროდენ, თუმცა ლუის არაგონესის ნაკრებმა მუნდიალი ადრე დატოვა.

— კატასტროფა იქნება ბრაზილიისთვის, საფრანგეთს თუ ვერ მოუგეთ?

— ბრაზილიისთვის კატასტროფა ის იქნება, მსოფლიოს ჩემპიონები თუ ვერ გავხდით.

— ბრაზილია ბებერი ნაკრებია?

— არც საფრანგეთს ჰყავს მთლად ახალგაზრდა გუნდი. ასევეა იტალიაც და არგენტინაც. ხალხს, რომელიც ფეხბურთელების ასაკს ყველაფერზე მაღლა აყენებს, ფეხბურთის არაფერი გაეგება.

— ბრაზილიელებს არგენტინელებთან შეხვედრისა ხომ არ გეშინიათ?

— არგენტინა ბუენოს აირესის გარეთ სულ სხვა გუნდია. ამიტომაც მოიგო ბრაზილიამ ბოლო კონფედერაციათა თასი. თუ არგენტინას მშობლიურ ბუენოს აირესს მოაცილებ, სუსტდება, ჩვენ კი არა. ბრაზილიაც გერმანიაში ისევე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში. არგენტინას დიდი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ ურთიერთშეხვედრებისას ბრაზილიელები ვჯობნით.

— გინდათ მათთან შეხვედრა?

— რატომაც არა. ბრაზილია — არგენტინა თუ გაიმართა, მით უკეთესი ჩვენთვის.

— თუ 9 ივლისს რობერტო კარლოსი თავის ბოლო მსოფლიოს თასს აღმართავს, პირველად ვის გაიხსენებს?

— ბრაზილიაზე ვიფიქრებ. წარმოვიდგენ, როგორ გამოვარდება ქუჩებში 180 მილიონი ბრაზილიელი და ძალიან ბედნიერი ვიქნები.

— და თქვენი მომავალი? გაისად სად ითამაშებთ?

— ჩემი და „ჩელსის“ ამბავი ყველამ კარგად იცის. ჟორჟე მენდესი, ჩემი წარმომადგენელი, ახლა მოლაპარაკებას აწარმოებს ლონდონურ კლუბთან. თუმცა „რეალში“ დარჩენას ვარჩევდი — მინდა, ორი წელი კიდევ ვითამაშო „ბერნაბეუზე“. თუ მადრიდში კონტრაქტის განახლებაზე უარი მითხრეს, ვეცდები, ჩემთვის საუკეთესო ვარიანტი გამოვნახო. 33 წლის ვარ და ავანტიურისტობის უფლება არ მაქვს.

— ფიქრობთ, რომ „რეალი“ კიდევ ორწლიან კონტრაქტს შემოგთავაზებთ?

— დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ კლუბის თავკაცებთან მოლაპარაკებას მაინც ვცდი. ყოველ შემთხვევაში, მაქვს უფლება, „რეალიდან“ თავაწეული წავიდე — „ბერნაბეუსთვის“ ძალიან ბევრი ჯილდო მოვიგეთ.

— ახლა თავს უფრო „რეალში“ გრძნობთ თუ მის გარეთ?

— უფრო კლუბის გარეთ, რადგანაც, ემილიო ბუტრაგენიოს სატელეფონო ზარს თუ არ ჩავთვლით, არავინ დამკავშირებია „რეალიდან“ და მუნდიალზე წარმატებაც არავის უსურვებია ჩემთვის. კონტრაქტის გახანგრძლივებაზეც არ ლაპარაკობენ.

— ბრაზილია — საფრანგეთის ჯახს ესპანელი არბიტრი მედინა კანტალეხო განსჯის. ამის შესახებ რას გვეტყვით?

— მედინა კარგი არბიტრია. „ბარსელონასთან“ კი გამაძევა, მაგრამ მაინც წარმატებებს ვუსურვებ, პიროვნულად მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. რახან მუნდიალზე მოხვდი, ესე იგი საუკეთესო ხარ...

თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ხელმძღვანელი ჰრიოთ. თამაზ თამაზაშვილი

უყურე ფეხბურთს
ჩვენთან ერთად
დაშედეგით
ქმაყოფილი დარჩები
• უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
• გარანტირებული შედეგები
• უახლესი აღჭურვილობა ამერიკული ტექნოლოგიები



HAIRLINE INTERNATIONAL
მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული
ერთადერთი კლინიკა ამერიკავკასიაში
ქავთარაძის 16 (სამეუნაროო პომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62
www.hairline.ge

დორტმუნდი მოფრეიანდა

ალექსანდრ ფრეი

შვეიცარიის ნაკრების ფორვარდი ალექსანდრ ფრეი „რენიდან“ „დორტმუნდში“ გადავიდა. „ტრანსფერი უკვე მოგვარებულიაჩ“ — განაცხადა და გერმანული კლუბის პრესმდივანმა იოზეფ შნეკმა. გარიგება „დორტმუნდს“ დაახლოებით 4 მილიონი ევრო დაუჯდა, ფრანგები კი 7 მილიონ 500 ათასს ითხოვდნენ. ფრეის კონტრაქტი ოთხწლიანია. შვეიცარიელი თავდამსხმელი საფრანგეთის 2004-2005 წლების ჩემპიონატში საუკეთესო ბომბარდირი გახდა 20 გოლით. მან მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხ შეხვედრაში ორი გაიტანა, მაგრამ შვეიცარიის ნაკრები უკრაინასთან მერვეფინალში პენალტებით დამარცხდა.

„რენმა“ კი „ლივერპულიდან“ ფრანგი ნახევარმცველი ბრუნო შეირუ იყიდა. 28 წლის შეირუ, რომელსაც ნაკრებში სამჯერ უთამაშია, გასულ სეზონში „ლივერპულიდან“ „ბორდოში“ იყო განათხოვრებული, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა. მანამდე, ერთი სეზონი „მარსელში“ გაატარა და ვერც იქ ათამაშდა სათანადოდ. ეს უკვე მეორე შენაძენია „რენისთვის“. გუნდის ახალმა მწვრთნელმა პიერ დრეიოსიმ წინა კვირას დანიელ მორეირა იყიდა.

ვაჟა ხუციშვილი

იუვეს ჯილა ჯილია



ჯოვანი კობოლი ჯილი

ტურინის „იუვენტუსმა“ კლუბის მფლობელთა შეხვედრაზე ოფიციალურად აირჩია ახალი პრეზიდენტი. მისი ვინაობა უკვე რამდენიმე კვირის წინ იყო ცნობილი — ჯოვანი კობოლი ჯილი. „ბებერი ქალბატონის“ ყოფილი შეფი ფრანცო გრანდე სტივენსი კი, კლუბის ლეგენდა ჯამპიერო ბონიპერტის დარად, საპატიო პრეზიდენტი გახდა.

„ჩვენი მიზანია, შევქმნათ სიმპათიური, გამჭვირვალე და წარმატებული კლუბი, რომელიც მუდამ გამარჯვებისთვის ითამაშებს. გვინდა, უფრო მჭიდრო და ახლო ურთიერთობა გვქონდეს ტურინთან და მთლიანად ქვეყანასთან, რადგან ჩვენ იტალიის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლები ვართ მსოფლიოში“ — თქვა ჯილმა.

„იუვენტუსის“ კიდევ ერთი ახალი შეფთაგანი ჟან კლოდ ბლანი: „გამჭვირვალეობა და გუნდური მუშაობა ჩვენი მთავარი მიზანი იქნება. ვფიქრობ, კლუბის ახლადარჩეულმა ხელმძღვანელობამ უკვე აჩვენა, რომ ახალი, სუფთა და წარმატებული ეპოქის დაწყება უნდა, წესების დაცვით და პატივისცემით“.

გარდა ჯილისა და ბლანისა, „ბებერი ქალბატონის“ მართვაში მთავარ როლს „იუვენტუსის“ და იტალიის ყოფილი ვარსკვლავი მარკო ტარდელი და აქამდე ფრენბურთელთა მწვრთნელი ჯან პაოლო მონტალი შეასრულებენ.

„კლუბის მწვრთნელი „იუვენტუსის“ სულით უნდა იყოს გაჟღენთილი და გუნდზე ყველაფერი იცოდეს. სახელს და გვარს მნიშვნელობა არ აქვს, ოღონდ მისაღები კანდიდატურა იყოს, რომელიც მთავარი ფიგურა იქნება კლუბში. რაც შემეხება მე, ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვისწავლო, რადგან ეს საქმე ფრენბურთის მწვრთნელობისგან განსხვავდება“ — თქვა მონტალიმ.

მართალია, ფაბიო კაპელოზე კონკრეტული კომენტარი არ გაკეთებულა, მაგრამ პრესა ირწმუნება, იგი კლუბს დატოვებს, ახალი მწვრთნელი კი დიდიე დეშანი ან ალბერტო ძაკერონი გახდებაო.

გიორგი ძაძაბაძე

ვან ბასტენი სამხრეთ აფრიკაში

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელ მარკო ვან ბასტენთან 2010 წლამდე გაახანგრძლივა ხელშეკრულება. ძველი შეთანხმებით, ლეგენდარულ მარკოს „ნარინჯისფერთა“ მიტოვება 2008-ში უწევდა, თუმცა ფედერაციაში იმსჯელეს და ნაკრები ვან ბასტენს, სამხრეთ აფრიკის მუნდიალის ჩათვლით ჩააბარეს.

მარკო ვან ბასტენის გუნდმა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფში სერბეთსა და კოტ დიუვარს მოუგო და არგენტინასთან ფრედ ითამაშა. მერვეფინალში ტიტებისქვეყნელები პორტუგალიას გადააწყდნენ და უმძიმეს ბრძოლაში 0:1 წააგეს. მიუხედავად მუნდიალიდან ადრე წასვლისა, იქაურ სპორტის მოხელეებს მწვრთნელის კომპეტენციაში ეჭვი არ შეუტანიათ. თავად მარკო კი იმედითაა აღსავსე: „ეს ჩემთვის ახალი გამოწვევაა, რასაც ოპტიმისტურად ვხვდები“ — აღნიშნა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის თავკაცმა ჟურნალისტებთან.

ლადო ხომერიკი

ლორენცო სანსი

მე რომ მეფე გავხდები...

ხვალ მადრიდის „რეალში“ საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. კანდიდატი ხუთია. შევეცდებით, ისინი მეტ-ნაკლებად გაგაცნოთ.

არტურო ბალდასანო

61 წლის ადვოკატი. წარმოშობით კადისელი. თუ პრეზიდენტი გახდა, „რეალში“ უფრო მეტი ესპანელი ფეხბურთელის თამაშს შეუწყობს ხელს. ბალდასანო ამომრჩეველს სამეფო გუნდში ხოაკინის (ბეტისი) ხოსე ანტონიო რეიესის, სესკ ფაბრეგასის (არსენალი) და მაჰამადუ დიარას (ლიონი) მიყვანას ჰპირდება.

რამონ კალდერონი

ადვოკატი და „რეალის“ საპრეზიდენტო საბჭოს წევრი 2002 წლიდან. ჰყავს მეუღლე ტერეზა გალან ოტამენდი და სამი შვილი — ლეტისია, ხაიმე და მარიანა. 55 წლის კალდერონი „სანტიაგო ბერნაბეუს“ გრანდის სათავეში მოსვლის შემთხვევაში კლუბში, სავარაუდოდ, კაკას (მილანი) და არიენ რობენს (ჩელსი) მიიყვანს.

ხუან ჰალასიოსი

მადრიდში დაიბადა და 9 წლიდან „რეალის“ კლუბში გაწევრიანებული ინჩასი იყო. 58 წლისაა და თავის დროზე, პრეზიდენტ მენდოსას დირექტორატის წევრი გახლდათ. მეგობრობდა დონ სანტიაგო ბერნაბეუსთან. მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში „რეალის“ ფანები სპორტულ დირექტორად ხოსე ანტონიო კამაჩოს, ხოლო მწვრთნელად ვისენტე დელ ბოსკეს იხილავენ. ასევე შეიძლება, გუნდში მოვიდნენ ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი) და ანდრეს ინიესტა (ბარსელონა).

ლორენცო სანსი

ლორენცო სანს მანსებო 1943 წელს მადრიდში დაიბადა. „რეალის“ პრეზიდენტად 1995-ში აირჩიეს და თანამდებობა 2000 წლამდე შეინარჩუნა. ხელახლა გათავკაცების შემდეგ გუნდში მაიკლ კარიკს (ტოტენჰემი), ფერნანდო გაგოს (ბოკა ხუნიორსი), ძამბროტას, ემერსონსა (იუვენტუსი) და ხალიდ ბულარუზს (ჰამბურგი) მიიყვანს.

ხუან მიგელ ვილიარ მირი

ყველაზე ხნიერი საპრეზიდენტო კანდიდატთა შორის — სამშენებლო მაგნატი ვილიარ მირი 74 წლისაა. რამონ მენდოსას პრეზიდენტობის დროს ვიცე-პრეზიდენტი იყო. თუ არჩევნები მოიგო, ვიცე-პრეზიდენტად რალის მეფეს, კარლოს საინსს დაასახელებს, მწვრთნელად კი არსენ ვენგერის მიყვანა სურს. ფეხბურთელებიდან ვილიარ მირის ფავორიტები კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერ იუნაიტედი) და არსენალელები, სესკი და რეიესი არიან.

ლადო ხომერიკი

ლუის არაგონესი კვლავაც ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი იქნება. „ფეხბურთის ფედერაცია ჩემი ნამუშევარით კმაყოფილი დარჩა და კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დამიყოლია“ — განაცხადა მან.

67 წლის კაცს პოსტიდან წასვლა უნდოდა, მას შემდეგ რაც ფრანგებთან მერვეფინალში 1:3 წააგო. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე უთქვამს, ნახევარფინალში თუ ვერ გავალთ, თანამდებობას დავტოვებო.

არაგონესი დაბეს

„ის, რაც ჩემპიონატამდე ვთქვი, მომავალშიც გავიმეორებ, მაგრამ ბოლო სიტყვა ფეხბურთის ფედერაციას ეკუთვნის, მათ ვუთხარი, რომ მწვრთნელობა აღარ მსურს, რაკი სიტყვა ვერ შევასრულე, მაგრამ დამარწმუნეს — შენი დარჩენა სჯობსო“ — აღნიშნა „მეცნიერმა“.

ლუის არაგონესმა ნაკრები, ევრო 2004-ის შემდეგ ინაკი საესისგან ჩაიბარა და 26-მატჩიანი წაუგებელი სერია საფრანგეთთან შეწყდა.

„ფანებმა უნდა იცოდნენ — მე იმიტომ დავრჩი, რომ თავადაც მსურს მუშაობის გაგრძელება და დიდი ჯილდოს მოგება. საამისოდ კი შანსი ევრო-2008-ზე მექნება. ვფიქრობ, ჩემპიონატზე მთლიანობაში ურიგოდ არ გვითამაშია. რაღაც-რაღაცები დასახვეწი გვაქვს და ამას უნდა მივხედო“ — ბრძანა არაგონესმა.

ვაჟა ხუციშვილი

ოზიექტი

AFP

AFP

AFP კალკუტადან

საფრანგეთთან ჯახის წინ კუნთებსაც დასვენება სჭირდება და ნერვებსაც. ამ დროს შვილის ყურებას არაფერი სჯობს, ჰოდა, დიდი დიდაც პატარა დიდას ასე მამობრივი სითბო-სიამაყით ამიტომაც შესცქერის. იქვე, ბრაზილიის ვარჯიშზეა დიდას წინამორბედი კლაუდიო ტაფარელი, ვინაც 8 წლის წინ იმ ფრანგებისგან 3 გოლი გაუშვა მისთვის ავადსახსენებელ ფინალში.

მუნდიალის ფინალს სინათლის წლები აშორებთ, მაგრამ ოცნება აახლოვებთ ამ ინდოელ ბიჭებს, რომლებიც კალკუტის ტალახშიც აგორებენ ბურთს. მაინც ხომ აგორებენ და ფეხბურთის ჯადოც ესაა.

გერმანიაში, გერმანულ მაისურაში გამოწყობილი შავ-შავი მედოლე გერმანელი რომ არაა, კი მიხვდებით. ტომით სენეგალელია, მაგრამ რაკი მისიანები ვერ მოხვდნენ იმ მიწაზე, სადაც თვითონ დგას, მაისურაც გამოუცვლია.

ანრი მიშელი კი კოტ დივუარს დაეთხოვა და ერთი წლით ყატარს ჩავიდა, სადაც ერთ იქაურ კლუბ „ალ-არაბის“ უმწვრთნელებს.

AFP ბერლინიდან

AFP დოჰადან

სარბიელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲘ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		1 ივლისი						
19:00	409	ინგლისი-პორტუგალია	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
23:00	412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.75	3.30	4.70	1.14	1.27	1.93
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		2 ივლისი						
20:00	450	ფრედრიკსტადი-ლინი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
20:00	451	ჰამარი-ბრანი	3.10	3.20	2.20	1.57	1.28	1.30
20:00	452	მოლდე-სტაბეკი	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
20:00	453	ვიკინგი-რუსენბორგი	2.60	3.20	2.45	1.43	1.26	1.38
22:00	454	ვოლერენგა-სანდეფიორდი	1.55	3.70	5.20	1.09	1.19	2.16
		3 ივლისი						
21:00	455	სტარტი-ტრომსიო	2.00	3.30	3.45	1.24	1.26	1.68
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		2 ივლისი						
20:00	456	ბოდიო გლიმტი-ტრომსდალენი	1.30	4.30	7.50	1.00	1.10	2.73
20:00	457	ბრინი-ალესუნდი	2.55	3.30	2.35	1.43	1.22	1.37
20:00	458	ფოლო-სპარტა ს	2.30	3.40	2.70	1.37	1.24	1.50
20:00	459	ჰიოდი-ჰაუგესუნდი	2.45	3.30	2.55	1.40	1.24	1.43
20:00	460	ჰიონეფოსი-ლოვ ჰამი	1.85	3.40	3.60	1.19	1.22	1.74
20:00	461	კონგსვინგერი-პორს გრენლანდი	1.85	3.50	3.60	1.21	1.22	1.77
20:00	462	მანგლერუდი-მოსი	3.60	3.50	1.85	1.77	1.22	1.21
20:00	463	სტრიომსგოდსეტი-სოგნდალი	1.65	3.50	4.20	1.12	1.18	1.90
		ინტერტოტოს თასი						
		1 ივლისი						
17:30	800	მოსკოვი-მტზ რიპო	1.20	4.60	8.00	1.00	1.04	2.92
18:00	801	ლილესტრიომი-კეფლავიკი	1.20	5.50	8.50	1.00	1.05	3.33
18:30	802	მაკაბი ფთ-ზრინსკი	1.40	3.70	5.60	1.01	1.12	2.22
21:00	803	ფარული-ლოკომოტივი პლ	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
21:00	804	სოპრონი-კაისერი	2.60	3.10	2.15	1.41	1.17	1.26
21:00	805	ტირასპოლი-ლეხი	3.65	3.20	1.80	1.70	1.20	1.15
17:00	806	ოდენსე-შელბურნი	1.50	3.60	5.20	1.05	1.16	2.12
		2 ივლისი						
18:00	807	ჰიბერნიანი-დინაბურგი	1.35	4.00	6.50	1.00	1.11	2.47
19:00	808	ნიტრა-დნიპრო	2.50	3.10	2.40	1.38	1.22	1.35
19:30	809	ზეტა-მარიბორი	1.80	3.30	3.75	1.16	1.21	1.75
19:30	810	ტამპერე-კალმარი	2.05	3.10	3.00	1.23	1.21	1.52
20:00	811	გრასჰოპერი-ტეპლიცე	2.00	3.10	3.10	1.21	1.21	1.54
20:00	812	ოსიეკი-ეთნიკოსი	1.20	4.90	9.00	1.00	1.05	3.17
		ჩოგბურთი.ქალები.უიმბლდონი						
		1 ივლისი						
15:00	773	მორესმო-პრატი	1.03	6.00				
15:00	774	ვ უილიამსი-იანკოვიჩი	1.05	5.50				
15:00	775	შარაპოვა-ფრაზიე	1.02	7.00				
15:00	776	პენეტა-პენგი	1.70	1.90				
15:00	777	დემენტიევა-ლიხოვცევა	1.35	2.40				
15:00	778	პერი-ბამერი	1.55	2.10				
15:00	779	დ საფინა-ივანოვიჩი	1.70	1.90				
15:00	780	მისკინა-მედინა	1.15	3.80				
		ჩოგბურთი.კაცები.უიმბლდონი						
		1 ივლისი						
15:00	783	ი ნიემინენი-კოლშრაიბერი	1.40	2.40				
15:00	784	ნადალი-აგასი	1.45	2.40				
15:00	785	ლიუბიჩიჩი-ტურსუნოვი	1.40	2.40				
15:00	786•	ფ გონსალესი-დ ფერერი	1.30	2.75				

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10409	ინგლისი-პორტუგალია	2.55	2.00	3.75	1.12	1.51	1.30
10412	ბრაზილია-საფრანგეთი	2.10	2.00	5.00	1.02	1.47	1.42

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11409	ინგლისი-პორტუგალია	3.10	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11412	ბრაზილია-საფრანგეთი	2.25	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15409	ინგლისი-პორტუგალია	3.00	2.80	2.00
15412	ბრაზილია-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16409	ინგლისი-პორტუგალია	1.50	2.10
16412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.25	2.80

გოლი:ფუჭილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ფუჭილად)

17409	ინგლისი-პორტუგალია	1.85	1.95
17412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12409	ინგლისი-პორტუგალია	1.55	2.10
12412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13409	ინგლისი-პორტუგალია	1.70	1.90
13412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი ფასდება ჩაითვლება)

14409	ინგლისი-პორტუგალია	1.70	2.20
14412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.35	2.30

ვინ დაიწყებს თამაშს

19409	ინგლისი-პორტუგალია	1.85	1.85
19412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.85	1.85

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20409	ინგლისი-პორტუგალია	1.70	1.85
20412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.60	2.00

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22409	ინგლისი-პორტუგალია	1.95	1.70
22412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.90	1.70

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყვ) (ძირ. დრო)

21409	ინგლისი-პორტუგალია	1.80	10.00	1.70
21412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.95	10.00	1.60

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23409	ინგლისი-პორტუგალია	3.00	1.30
23412	ბრაზილია-საფრანგეთი	2.90	1.32

ვინ მოაწვდის პირველ აუტს

24409	ინგლისი-პორტუგალია	1.80	1.80
24412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.80	1.80

ფუმდეგ ეტაპზე გასვლა

18409	ინგლისი-პორტუგალია	1.50	2.15
18412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.30	2.80

გაიხსნა ჯროსოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ინტერტოტოს თასი 2006. II ეტაპი

გრაცი. 1 ივლისი. 21 საათი

რიდი — დინამო

ჰელმუტ კრაფტი: დინამომ კილიკიასთან გამიბათილა

დღეს თბილისის „დინამო“ ინტერტოტოს თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ავსტრიულ „რიდს“ ხვდება.

„რიდს“ დიდი ხნის ისტორია აქვს — 1912 წელს შეიქმნა, თუმცა წარმატება გვარიანად გაუჯანჯღლდა — 1998 წელს გახდა ავსტრიის თასის მფლობელი.

„რიდის“ წამყვან ფეხბურთელად კულჩი ითვლებოდა, რომელიც ცოტა ხნის წინ შვეიცარიაში გადავიდა.

მართალია, „რიდს“ მთელ ავსტრიაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი გულშემტკივარი ჰყავს, მაგრამ კლუბის პრესმდივან შტეფან რეიტერის თქმით, დღევანდელ თამაშზე ბევრ მაყურებელს მაინც არ ელიან, არა ინტერესის ნაკლებობის, არამედ პატარა სტადიონისა და მსოფლიოს ჩემპიონატის გამო.

„რიდმა“ საკმაოდ დამაჯერებლად ჩაატარა წინა სეზონი, თასის ნახევარფინალში გავიდა, ჩემპიონატში კი მეოთხე ადგილი დაიკავა, ეს ყველაფერი კი მისი ახალი მწვრთნელის, ჰულმუტ კრაფტის დამსახურებაცაა, რომელიც 2005 წლიდან მუშაობს გუნდში.

კრაფტი 1958 წლის 24 ივლისს დაიბადა. ბავშვობაში ხელბურთს თამაშობდა და მხოლოდ 18 წლის ასაკში დაიწყო ბურთის დევნა რეგიონული ლიგის კლუბ „ჰალლში“. რამდენიმე კლუბის გამოცვლის შემდეგ, 27 წლის ასაკში იგი კვლავ „ჰალლში“ დაბრუნდა და მისი მწვრთნელი გახდა...

„დინამოსთან“ მატჩის თაობაზე აზრის გამოთქმაც სწორედ *ჰელმუტ კრაფტს* ვთხოვეთ — მას გუშინ გრაცში შევეხმიანეთ...

— „დინამოზე“ და, საერთოდ, ქართულ ფეხბურთზე რას იტყვით?

— ქართულ ფეხბურთზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, „დინამოს“ სახელი კი ჯერ კიდევ 1981 წელს გავიგე, როცა თასების თასი მოიგო. დღევანდელ „დინამოზე“ არცთუ ბევრი ინფორმაცია მქონდა და ვაღიარებ, მთლად ძლიერ მეტოქედ არც წარმომედგინა, მაგრამ თბილისში მისი თამაში ვნახე, როცა სომხურ „კილიკიას“ ეთამაშა და ჩემი წარმოდგენები სრულიად გაბათილდა. ძალიან კარგი გუნდი გყავთ, ტაქტიკურად განსწავლულნი და ამავე დროს სწრაფი ფეხბურთელები გყოლიათ.

— შინ თამაშობთ და ფავორიტად ალბათ თქვენს გუნდს მიიჩნევთ...

— ამას ვერ ვიტყვი. ძალიან მინდა, მოვიგოთ, მაგრამ რეალისტი ვიქნები და ვიტყვი, რომ შანსები თანაბარია.

— ინტერტოტოს თასს დიდ მნიშვნელობა ანიჭებთ, თუ ეს მხოლოდ ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი ეტაპია თქვენთვის?

— ამ ტურნირს უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგანაც საკმაოდ ძლიერი გუნდები თამაშობენ. ეს დიდი გამოცდაა როგორც „რიდისთვის“, ასევე ჩემთვისაც.

— რა სქემით თამაშობთ?

— 4-4-2.

— შეადარეთ „რიდი“ გერმანიის მეორე ბუნდესლიგის წამყვან გუნდებს...

— მიმაჩნია, რომ ჩემი გუნდი მათი დონისაა.

— „ლეობენთან“ „დინამოს“ ამხანაგურ თამაშს ნახავდით — ფიქრობთ, რომ მეტოქე კარგად გჯავთ შესწავლილი?

— არა, ეს თამაში არ მინახავს, მაგრამ რამდენიმე სხვა თამაში ვნახე და ვთვლი, რომ მეტოქე საკმაოდ კარგად შევისწავლე.

— თქვენი გუნდის უპირატესობად რა მიგაჩნიათ „დინამოსთან“ მატჩში?

— არა მგონია, ასეთი რამ გვქონდეს. მატჩი გვიჩვენებს ყველაფერს.

ნინო სილაგაძე

მეკარეები

ჰანს პეტერ ბერგერი	1981
თომას გებაუერი	1982

მცველები

მარკუს ბერგერი	1985
ევალდ ბრენერი	1975
დარიო დაბაცი	1978
ოლივერ გლასნერი	1974
კრისტოფ იანკი	1973
დავორინ კაბლარი	1977
მიხაელ მელემი	1975

ნახევარმცველები

მიხაელ ანგერშმიდი	1974
ჰერვიგ დრეხსელი	1973
თომას ედერი	1980
პეტერ ჰაკმაირი	1987
სებასტიან მარტინესი	1977
რასტისლავ მიხალიკი	1974
იან მარკ რიგლერი	1988
იუნგ-ვონ სეო	1970
დუბრავკო ტესევიჩი	1981
პატრიკ ვოლფი	1981

თავდამსხმელები

რონალდ ბრუნმაირი	1975
დანიელ კასტნერი	1981
ემინ სულიმანი	1986

ვიტ ჯორჯია დღეს 100 კილომეტრს გადალახავს

გიორგი ფეიქრიშვილი

ბაჩარ დოლიძეს ფოტო

უკრაინულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ მეორე საკონტროლო მატჩი ითამაშა — სიმფეროპოლის „ტავრიას“ მეორე გუნდს 2:1 მოუგო. გოლები გიორგი ფეიქრიშვილმა და გიორგი ბერიაშვილმა გაიტანეს.

პირველ ტაიმში „ვიტ ჯორჯიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ბედიაშვილი, ჰ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, დილმელაშვილი, გელაშვილი, ფეიქრიშვილი, ბეჭვაია.*

„ვიტ ჯორჯიას“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემ გვითხრა, რომ პირველი ტაიმი ჩვენებურთა დიდი უპირატესობით წარიმართა, თუმცა გოლი ოდენ ტაიმის ბოლო წუთზე შეაგდო ფეიქრიშვილმა.

შესვენების შემდეგ „ვიტ ჯორჯიამ“ ესენი ათამაშა: *მიქაბერიძე, ლონლაძე, ადამაძე, ლომაია, გველესიანი, კვალინაძე, მელქაძე, ცხომარია, ბერიაშვილი, ლიპარტია, კლიმიაშვილი.*

ვიტელებს მიკროტრავმების გამო ორი ფეხბურთელი აკლდათ — ზაზა სახოკია და ვასილ ღუჭაშვილი.

თუ „ვიტ ჯორჯიას“ საკონტროლო მატჩებს გადავხედავთ, ჩანს, რომ ვიტელები ორ ფეხბურთელს განსაკუთრებულად ამზადებენ ძირითადი შემადგენლობისთვის — კიევის „დინამოში“ წასულ დავით იმედაშვილის შემცვლელად „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელებს ალბათ ლაშა ჯაფარიძე ეგულებათ; მწვრთნელები ვინძლო გათვლას აკეთებენ შემტევ ნახევარმცველ გიგა ბეჭვაიაზეც.

მორიგ საკონტროლო მატჩს „ვიტ ჯორჯია“ დღეს გამართავს — კრიმტეპლიციდან აიბარგება, 100 კილომეტრს გაივლის და სევასტოპოლში „ზაკარპატიეს“ გაეჯიბრება.

დავით თავართქილაძე

კიევი და გოლაობა

იმედაშვილის ჰო თუ არა ავსტრიის ბოლოს გაირკვევა

კიევის „დინამომ“ შვეიცარიული შეკრება დაასრულა და 3 ივლისს ავსტრიაში გადაინაცვლებს, სადაც 12 დღით დაბინავდება. შვეიცარიაში ყოფნის ბოლო დღეს კი კიეველები შერეული შემადგენლობით შეხვდნენ ჯერ „ნიონს“, შემდეგ კი ადგილობრივ სამოყვარულო კლუბს.

ანატოლი დემიანენკოს გუნდმა „ნიონს“ 6:0 მოუგო და ქართველთაგან მხოლოდ კახა ალადაშვილმა ითამაშა 65-ე წუთიდან.

მოყვარულებთან კი კიეველებმა 17:0 გაისეირნეს და ალადაშვილი აქაც შეცვლაზე შევიდა, ხოლო ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი ძირითადში იყვნენ. სამწუხაროდ, გოლების ავტორები უცნობია.

შეგახსენებთ, ხუთიოდ დღის წინ ქართველების გუნდმა ასევე შვეიცარიელი მოყვარულები 21:0 გაანადგურა, სადაც მარცვალაძემ სამჯერ გაიტანა და თავისი წილი გოლი იმედაშვილმაც შეაგდო.

სავარაუდოდ, იმედაშვილის კიევური ტრანსფერის ამბავი ავსტრიული შეკრების ბოლოს გადაწყდება.

ილია ნანოგაშვილი

კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი

ვშრომ დოლოდაბეულის ფოტოები

ნოზაძეს და ონიანს ისრაელში ცდიან

თბილისის „დინამო“ გუნდის 26 წლის კაპიტანი ლაშა ნოზაძე ტრანსფერზე მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დააყენა.

ნოზაძე კარგა ხანს ეძებდა ახალ გუნდს, მაგრამ უშედეგოდ. ახლა კი იგი ისრაელშია და იქაური უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდში აპირებს გადასვლას, თუმც კონტრაქტის გაფორმებამდე ჯერაც შორია — ნოზაძე ისრაელში გასინჯვაზეა.

შევიტყვეთ, რომ „დინამოს“ ექსკაპიტნის დარად, ისრაელში თამაშს „ბათუმიდან“ წასული მცველი გიორგი ონიანიც აპირებს — ისიც უკვე ისრაელშია და კონტრაქტამდე მასაც გასინჯვაზე ყოფნა მოუწევს.

დავით თავართქილაძე

ზესტაფონმა ჯერ მაინცი იცის ნუდნი კრივბასს სდომებია

ვშრომ დოლოდაბეულის ფოტო

„ზესტაფონმა“ პირველი შეკრება თბილისში დაასრულა და ამჟამად ურეკში ემზადება. ჯერჯერობით უცნობია, 10 ივლისამდე გუნდი ტესტ-მატჩებს ჩაატარებს თუ არა — 10-ში კი ფეროელები გერმანულ შეკრებაზე წავლენ, სადაც ალბათ ორ კვირას დარჩებიან და ამხანაგურ მატჩში ბუნდესლიგელ „მაინცს“ შეხვდებიან. დანარჩენ სპარინგ-მეტოქეებზე კი მოგვიანებით შევიტყობთ.

და კიდევ: როგორც „ზესტაფონის“ პრესატაშე სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, გუნდიდან წასული მოლდოველი ლეგიონერის, სერგეი ნუდნის დამატება კრივოი როგის „კრივბასს“ სდომებია, თუმცა „კრივბასს“ მოთამაშის აყვანა უფასოდ სურს. არადა, ნუდნის კონტრაქტი ჰ ქონია ფეროელებთან.

ლუკა თალაძვაძე

გურულის დიჟონ-გენიონი ქართველი ლიონს დაშორდა

20 წლის სანდრო გურული, ფაქტობრივად, „ლიონ დუშერში“ გაიზარდა, რამდენიმე წელიწადი ითამაშა საფრანგეთის მეოთხე დივიზიონში და ახლა კლუბიდან გათავისუფლების ფურცელი აიღო.

სანდროს გუშინ ლიონში დავუკავშირდით და თავის სავარაუდო ტრანსფერზეც გვითხრა...

ბადრი ჯბილაძის ფოტო

— მეორე დივიზიონის ორი კლუბი, „დიჟონი“ და „გენიონი“ მეპატიჟებიან. ჯერჯერობით არ ვიცი, ინტერესი რამდენად სერიოზულია, მაგრამ ამ გუნდებზე ადრეც იყო ლაპარაკი. არის კიდევ შვეიცარიის სუპერლიგისა და ბელგიის უმაღლესი ლიგის გუნდების ვარიანტები, თუმცა კონკრეტულად სახალები არ ვიცი.

— „ლიონ-დუშერიდან“ საბოლოოდ წამოხვედი?

— კი. მეოთხე დივიზიონში თამაში აღარ მსურდა.

— ისევ საფრანგეთში გინდა დარჩენა?

— რა თქმა უნდა. აქაურობას ძალიან შევეჩვე და შვეიცარიაში თუ ბელგიაში წასვლა ნაკლებად მინდა.

— მუნდიალთან დაკავშირებით რას ამბობენ ფრანგები, სჯერათ ბრაზილიასთან მოგების?

— ესპანეთთან გამარჯვებამ ფრანგებს ჩამკვდარი იმედი გაუცოცხლა. ჯგუფური მატჩების შემდეგ ნაკრების აღარავის სჯეროდა, ახლა კი ჩემპიონობაზეც ლაპარაკობენ. მთელი საფრანგეთი ახლა ფეხბურთით ცხოვრობს.

ილია ნანოგაფშვილი

უცხო ქართველები თურანში

აზერბაიჯანის „თურანში“ ამჟამად თენგიზ სიჭინავა, ზაზა ლაცაბიძე და ზაზა მედოევი ირიცხებიან, თუმცა მათ შესაძლოა, კიდევ შეუერთდნენ ქართველები. ლაპარაკია ჩვენთვის უცნობ ფეხბურთელებზე, ყოველ შემთხვევაში, მათი გვარ-სახელები გულშემატკივრებს თითქმის არაფერს ეუბნება: ავთანდილ დვალი, მამუკა ბერიალაძე, თემურ ქურასბედიანი, გიორგი ზუზუბიანი და კახა ძებისაშვილი „თურანში“ გასინჯვაზე არიან.

სხვათა შორის, აზერბაიჯანული საფეხბურთო ვებგვერდის ცნობით, „თურანმა“ ორი ქართველი ფეხბურთელი უკვე დაიწუნა — ესენი არიან ლაშა რეხვიაშვილი და გია თოდუა, რომელიც ბოლოს ბოლნისის „სიონში“ აპირებდა გადასვლას, მაგრამ ჩანს, კახა ცხადაძის გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა.

ლუკა თალაძვაძე

სიონი და მონაპირ არ გამოვიდა

ცხადაძეს გასაკლიერებელი ერთი პოზიცია დარჩა

საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის „სიონს“ ყირიმული შეკრება დაუმთავრდა და დღეს შინ ბრუნდება. როგორ მოემზადა გუნდი უკრაინაში? რომელი ფეხბურთელებით გაძლიერდება? როგორ მოემზადება „ბაკისთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩისთვის? ამის შესახებ გუშინ „სიონის“ მთავარ მწვრთნელ კახა ცხადაძეს დავუკავშირდით უკრაინაში...

ვშრომ დოლოდაბეულის ფოტო

— რამდენად კმაყოფილი ხართ ყირიმული შეკრებით?

— ყველაფერმა გეგმის მიხედვით ჩაიარა, თუმც ის კია, რომ რამდენიმე ფეხბურთელი მოგვიანებით შემოგვიერთდა. დანარჩენი ყველაფერი ნორმალურადაა. კარგია, რომ დიდი დატვირთვების ფონზე ყველა ჯანმრთელადაა.

— ყირიმში რამდენიმე საკონტროლო მატჩი ითამაშეთ — აქცენტი უფრო შეთამაშებაზე გქონდათ გადატანილი თუ ფიზიკური მომზადებაზე?

— საკონტროლო მატჩები კი ვითამაშეთ, მაგრამ არცთუ პატარა ფიზიკური დატვირთვები ჰქონდათ ფეხბურთელებს. უმეტესად ორჯერად ვარჯიშებს ვატარებდით და თამაშის დღესაც კი ვვარჯიშობდით.

— საქართველოში დაბრუნების შემდეგ როგორ გაგრძელებთ მზადებას?

— ფიზიკური დატვირთვები, რა თქმა უნდა, მოიკლებს. ფეხბურთელები ორ დღეს დაისვენებენ და 3 ივნისიდან ვარჯიშს განვაახლებთ — ფეხბურთელები შეკრებაზე აღარ იქნებიან. ვარჯიშები ბოლნისში გვექნება, „ბაკისთან“ მატჩამდე ორი-სამი დღით ადრე კი ალბათ თბილისში.

— თქვენი სურვილი იყო, რომ „ბაკისთან“ ბოლნისში გეთამაშათ?

— ეს არა მარტო ჩემი სურვილი იყო. ბოლნისში თამაში გუნდისთვის დამატებითი სტიმული იქნებოდა. ბოლნისის სტადიონის ტრიბუნები მოედანთან ახლოსაა და ეს დიდ ფსიქოლოგიურ მუხტს იძლევა. სამწუხაროდ, ბოლნისში ვერ ვითამაშებთ.

— ყირიმში ოთხი კამერუნელი ფეხბურთელი ჩამოვიდა თქვენთან გასინჯვაზე — უკვე მიიღეთ გადაწყვეტილება მათი გუნდში დატოვება-არდატოვების თაობაზე?

— ოთხივეს ვერ დავიტოვებთ. ნახევარმცველმა პიერ მონგმა ვერ გაამართლა იმედები. „სიონში“ ალბათ სამ კამერუნელს ავიყვანთ.

— შეიძლება ითქვას, „სიონი“ უკვე ყველა პოზიციაზე გაძლიერდა?

— არა, რადგან გუნდიდან ლევან ხმალაძის წასვლის შემდეგ საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია შესავსებია. კამერუნელი მონგი სწორედ ამ ამპლუისთვის გვინდოდა, მაგრამ... ახლა ქართული სატრანსფერო ბაზრიდან შევეცდებით ფეხბურთელის აყვანას.

— თუ „სიონი“ „ბაკის“ ბარიერს გადალახავს, გუნდის გამოსვლა ევროსარბიელზე უკვე დადებითად უნდა შეფასდეს?

— „ბაკი“ საკმაოდ კარგი, შეთამაშებული გუნდია და კარგი ლეგიონერები ჰყავს. ძალიან რთული თამაში გველის. აზერბაიჯანული საკლუბო ფეხბურთი ფინანსებით წინ წავიდა, ჩვენ კი ამ მხრივ უკან მივდივართ. სამი-ოთხი წლის წინ რომ იყო ბალანსი ქართულ და აზერბაიჯანულ კლუბებს შორის, ახლა ისეთივე სიტუაცია აღარაა. ამის დასტურია ისიც, რომ ახლახან „ბაკიმ“ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი მეგრელაძე აიყვანა. ვფიქრობ, „სიონის“ და „ბაკის“ დაპირისპირებაში შანსები თანაბარია.

დავით თაფართქილაძე

ჩვენ ერთი გუნდი ვართ

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-ყლუბში გასანევრიანებელი აპლიკაცია

GFF

სახელი: .....

გვარი: .....

დაბადების თარიღი: .....

ბელეფონი: .....

ელ-ფოსტა: .....

სარბიელი

საინფორმაციო მხარდაჭერა

ფლიმპი

ბლიცი

სპორტი

24

ლეგენდა ჰამბურგში გაცოცხლდება

ვეტერანთა ევროჩემპიონატი უქართველებოდ არ ჩაივლის



ნუგზარ ჭეიშვილი ჰამბურგში ვეტერანებს დამოძღვრავს

ფოტო ალექსანდრე ბუსკოვსკის

საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის დღემდე ოცნებად რჩება ევროპის ჩემპიონატზე თამაში, ქართველმა ვეტერანებმა კი ეს ნატვრა უკვე აისრულეს. 28 ივლისს ისინი გერმანიაში მიემგზავრებიან, სადაც ერთ დროს კაშკაშა, ახლა კი ჩამქრალი ვარსკვლავები ერთმანეთს ბებერ კონტინენტზე პირველობას შეეცილებიან. ჰამბურგში ჩავლენ საბჭოური კალათბურთის ცოცხალი ლეგენდები — არვიდას საბონისი, შარუნას მარჩულიონისი, რიმას კურტინაიტისი და სხვა მრავალი ყოფილი ვარსკვლავი. საქართველოს ევროჩემპიონატზე ძირითადად ძველი „დინამოს" მოთამაშეები წარმოადგენენ — ნოდარ ქორქია, ნიკოლოზ დერიუგინი, გია სანაძე, ჩიტო ფიცხელაური, ლევან წულაია, ზაზა ცაგარეიშვილი და უკვე 62 წელს მიტანებული რეზო ჩაჩხიანი. ვეტერანებში ირიცხება საქართველოს რაგბის კავშირის ყოფილი პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე, ხოლო ამ გუნდის ფინანსური მხარდამჭერი, ყოფილი კალათბურთელი და ახლა ბიზმესმენ-პოლიტიკოსი ლევან გაჩეჩილაძეც ვეტერანთა ნაკრებშია და ევროპირველობისთვის მონდომებით ემზადება. ვეტერანებს სტუ-ს თავკაცი ნუგზარ ჭეიშვილი წვრთნის, რომელიც საევროპო სამზადისზე გვესაუბრება...

— ვისი იდეა იყო ვეტერანთა ნაკრების შექმნა და ევროჩემპიონატზე ძალების მოსინჯვა?

— ეს თავად ვეტერანებმა გადაწყვიტეს. ისინი უკვე რამდენიმე წელია, იკრიბებიან და ვარჯიშობენ. ამ ხუმრობა-ხუმრობაში ისეთ კარგ სპორტულ ფორმას მიაღწიეს, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაშის იდეაც გაჩნდა. ამას, რა თქმა უნდა, ფინანსური მხარდაჭერა უნდოდა და ეს ლევან გაჩეჩილაძემ უზრუნველყო. ლევანი ხშირად დადიოდა ვეტერან კალათბურთელთა ვარჯიშებზე, თამაშობდა კიდეც და ჰამბურგში გამგზავრებაზე რომ ჩამოვარდა სიტყვა, უკან არაფერზე დაუხევია.

— თქვენ როგორ მოხვდით ამ გუნდში?

— როცა ევროპის ჩემპიონატზე წასვლა გადაწყდა, ცხადია, უმწვრთნელოდ ეს არ მოხერხდებოდა. თავად ვეტერანებმა გადაწყვიტეს, რომ გუნდს მე გავძღოლოდი და უარს როგორ ვიტყოდი. ჩემთვის დიდი პატივია ასეთ ცნობილ ხალხთან მუშაობა და სიამოვნებით დავთანხმდი.

— როგორ მიდის მზადების პროცესი, რა ფორმაშია გუნდი?

— ასეთი მონდომებულები რომ ყოფილიყვნენ ჩემი გუნდის ბიჭები, სტუ საქართველოს ჩემპიონი გახდებოდა. ძალიან დიდი მოწადინებით ემზადება თითოეული კალათბურთელი, ყველა ჯანზეა და შემართება არ აკლიათ. კვირაში ოთხჯერ ვვარჯიშობთ ვერის ბაღში, შაბათს ან კვირას კი სპარინგმატჩები გვაქვს — ხან თბილისის „მაკაბის" ვეთამაშებით, ხანაც ჩემს ბიჭებს დავურეკავ და ვეტერანები შესუსტებულ სტუ-ს ეთამაშებიან.

— ვინ იქნებიან თქვენი მეტოქეები გერმანიაში და რამდენად რეალურია წარმატების მიღწევა?

— ჩვენ ოლიმპიური პრინციპით ვხელმძღვანელობთ — ანუ მთავარია მონაწილეობა, მაგრამ ამავდროულად წარმატებაზეც რეალურად ვფიქრობთ. შესაძლოა, შემადგენლობით ლიტვის ნაკრებს ვერ გავეტოლოთ, სადაც მარჩულიონისი, საბონისი, კურტინაიტისი და სხვა დიდი კალათბურთელები თამაშობენ, მაგრამ ჩეხეთს, პოლონეთს და კიდევ რამდენიმე ნაკრებს არაფერში ჩამოვუვარდებით. ეს ხომ ხანში შესულთა ტურნირია და მთავარი მნიშვნელობა ახლანდელ ფიზიკურ მზადყოფნას უფრო ენიჭება, ვიდრე იმას, თუ ვინ რა იყო წარსულში. ნიჭი და გენი თავისას კი შვება, მაგრამ თუ ფორმაში არ იყო, ნებისმიერს გაუჭირდება.

— ნოდარ ქორქია ახლა ჩინეთში იმყოფება და თქვენ როგორ დაგეხმარებათ?

— ბატონი ნოდარი ჩინურ გუნდში მწვრთნელად მიიწვიეს და ახლა იქ ამ საქმის მოსაგვარებლად იმყოფება. ის ჩინეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქშია და სანამ კონტრაქტს ხელს მოაწერდეს, იქ დარჩება. ჩვენ შეთანხმებულები ვართ და ბატონი ნოდარი პირდაპირ ჰამბურგში ჩამოვა.

ირაკლი პერტაია

ფოტო ალექსანდრე ბუსკოვსკის

სანამ წიწილებს დავითვლიდეთ

საქართველოს ნაკრებმა სეზონი შემოდგომამდე დაასრულა. ოქტომბერ-ნოემბერში ჩვენებს საგაისო მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის გადამწყვეტი ეტაპი უწევთ. სამგუნდა ჯგუფში საქართველო სტუმრად ეთამაშება რუმინეთს, შინ ღებულობს ესპანეთ-ჩეხეთს შორის უკეთესს და თუ ერთწრიან რაგბობაში ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, პირდაპირ გავა მსოფლიოს თასზე. ვინიცობაა ჩვენებმა რუმინეთთან წააგონ, შინ ყველა ვარიანტში სუსტ მეტოქეს სძლიონ და ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავონ, მაშინ ჩვენ „ლელოებს" შინ და გარეთ პრინციპით რუსეთ-პორტუგალიას შორის უკეთესთან მოუწევთ თამაში. იქამდე ხვატი ზაფხულია, მანამდე კი რაგბის საერთაშორისო საბჭომ გამოაქვეყნა 2006 წლის რეიტინგი, რომელშიც ცვლილებები შემოდგომამდე მხოლოდ ზედა ხუთეულში თუ მოხდება, რაკიღა იქეთა კვირას სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრესი სანაკრებო ტურნირი სამი ერი გახურდება.

აქამდე საქართველო IRB-ს რეიტინგში ყველაზე მაღლა 2001 წელს იდგა. მაშინ ჩვენებმა ერთა თასის რანგში სტუმრად მიანგრიეს რუმინეთი და თასი თბილისში ჩამოიტანეს, ხოლო მომდევნო სეზონში მსოფლიოს თასის საგზური მოიპოვეს. მაშინ საქართველო მე-16 ადგილზე იყო და მე-19-ეს დაბლა არ ჩამოცურებულა.

ბაჩო სვანიძე

IRB-ს რეიტინგი 2006

1	ახ. ზელანდია	93,32 ქულა
2	საფრანგეთი	87,53
3	ს. აფრიკა	87,18
4	ავსტრალია	85,59
5	ირლანდია	82,01
6	ინგლისი	79,66
7	შოტლანდია	77,72
8	არგენტინა	77,49
9	უელსი	76,34
10	სამოა	73,39
11	ფიჯი	72,79
12	იტალია	72,11
13	კანადა	68,16
14	აშშ	67,50
15	რუმინეთი	67,31
16	ტონგა	66,51
17	საქართველო	65,56
18	ურუგვაი	65,15
19	რუსეთი	64,54
20	იაპონია	63,42

აზრთა სხვადასხვაობა

შემდეგ კვირაში უნგრეთის პატარა ქალაქი სომბატჰეი ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. 4-5 ივლისს ხალიჩაზე თავისუფალი სტილის მიმდევრები გავლენ, 8-9-ში — ბერძენ-რომაელები. ნუგზარ სხირელის გუნდი უნგრეთში ამ დილით გაფრინდ: ვლადიმერ ადეიშვილის ბიჭები კი ჯერაც წინასაჩემპიონატო შეკრებას გადიან სპორტკომპლექს „მართვეში".

კლასიკოსთა თავკაცმა ამ დღეებში სპარინგ-შეხვედრები ჩაატარა და საბოლოო შემადგენლობაც გამოაცხადა.

„წლევანდელ შიდა თუ საერთაშორისო ტურნირებზევე გამოიკვეთა ძირითადი ბირთვი, მაგრამ რამდენიმე წონაში ბოლომდე გარკვეული სიტუაცია მაინც არ იყო" — გვითხრა გუშინ ადეიშვილმა. მის რჩეულ რვეულში ევროპის ჩემპიონატის ჩემპიონ-პრიზიორი ერთი მოჭიდავეც არ არის. წინა შემადგენლობა ასაკობრივი ზღვარის გამო ახალი გვარებით შეიცვალა. ერთადერთი შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი რევაზ ლაშხი კი მართალია, ჯერაც ახალგაზრდული ასაკისაა, მაგრამ უკვე უფროსთა ნაკრების წევრია და მწვრთნელებმა ერთობლივად გადაწყვიტეს, ამჯერად დაესვენებინათ. მიუხედავად ამისა, ადეიშვილი მაინც იმედიანადაა, სულ ცოტა, შარშანდელზე უკეთეს შედეგს ვაჩვენებთო.

თავისუფალთა თავკაცის პროგნოზი კი სრულიად განსხვავებულია. წინა ევროპის ჩემპიონატის დარი წარმატების მიღწევა ძალიან ძნელი იქნება, რადგან გუნდში ექვსი დებიუტანტი მყავს და მათი იმედი უფრო მომავალი წლებისთვის უნდა გვქონდესო — ამბობს სხირელი. შარშან კი მისმა შეგირდებმა 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. იმ ხუთეულიდან საუნგრეთე განაცხადში მხოლოდ გიორგი ნიკურაძე მოხვდა. ევროპის ჩემპიონი მძიმეწონოსანი ავადმყოფობის გამო ბოლო შეკრებაზე თანაგუნდელებზე ნაკლებად დაიტვირთა, თუმც სხირელის თქმით, საგანგაშო არაფერია.

ოთარ მაღლაკელიძე



ფოტო ალექსანდრე ბუსკოვსკის

საქართველოს ნაკრები

თავისუფალი		ბერძნულ-რომაული
გივი დავიდოვი	50 კგ	ლაშა გოგიტაძე
მურთაზ კვესაძე	55 კგ	მინდია ოჯახიშვილი
გიგლა მაყიშვილი	60 კგ	კახა მექვაბიშვილი
ცოტნე ბარამიძე	66 კგ	ილია გულბათაშვილი
თორნიკე სვანიძე	74 კგ	ზაზა შავაძე
ბექა ჭელიძე	84 კგ	სერგო ნინუა
დავით მოძმანაშვილი	96 კგ	გენადი ხელაია
გიორგი ნიკურაძე	მძიმე	დიმიტრი ჯავახიშვილი

ტურ დე ფრანსი 2006. 1–23 ივლისი

დაჩეხილი წრე

პოსტარმსტრონგული ტური არნახული სკანდალით იწყება



AFP სტრასბურგიდან

მოკვეთილნი და გულდაწყვეტილნი: ივან ბასო და იან ულრიხი

დღეს ელზასის მთავარქალაქ სტრასბურში შვიდკილომეტრიანი პროლოგით სტარტს აიღებს სეზონის უმთავრესი და უპრესტიჟულესი სუპერრბოლა, რიგით 93-ე „ტურ დე ფრანსი, მაგრამ, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, თავად ეს ფაქტი, ანუ დიდი რბოლის სტარტი, უკვე მეორეხარისხოვანია.

გუშინ ველოსპორტის სამყაროში რაღაც არნახული ძალის ბომბი გასკდა. ამ ბომბის პატრუქს კარგა ხანია, რაც ცეცხლი ეკიდა, მაგრამ ასე მოულოდნელად თუ აფეთქდებოდა, ძნელი წარმოსადგენი იყო.

ეუფენიო ფუენტესი — აი, სახელი და გვარი ესპანელი ექიმისა, ვისი წყალობითაც დიდი ველოსპორტი დღეიდან, ალბათ სულ სხვანაირი იქნება, ხოლო უშუალოდ „ტურ დე ფრანსი“, თანაც პირველი პოსტარმსტრონგულ ერაში, ნამდვილად არ იქნება ისეთი, როგორსაც მოველოდით.

იან ულრიხი, ივან ბასო, ფრანსისკო მანსებო — ისინი ფუენტესთან ურთიერთობაში არიან ეჭვმიტანილნი და ამ ეჭვის საფუძველზე „ტურის“ უმთავრესი ფავორიტები საკუთრივ მათმა გუნდებმა მოკვეთეს რბოლიდან.

1998 წლის „ფესტინას“ საქმისა და 1999 წლის „ჯიროზე“ მარკო პანტანის დისკვალიფიკაციის შემდეგ ველოსპორტს არ ახსოვს ასეთი სკანდალი და ეს, ალბათ, უფრო მეტიც არის, რადგანაც „ტური“ - სეზონის უმნიშვნელოვანესი რბოლა, ორი მთავარი ფავორიტის გარეშე დარჩა.

სკანდალი კარგა ხანია, რაც მწიფდებოდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაფერი შარშან შემოდგომაზე დაიწყო, როდესაც „ვუელტას“ მეოთხედ მომგებ ესპანელ რობერტო ერასს დაუმტკიცდა დოპინგის ხმარება. „ლიბერტი სეგუროსის“ ლიდერს მეოთხე ესპანური ტიტული ჩამოართვეს და ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ამ საქმემ ნელ-ნელა ფესვები გაიდგა და „ლიბერტი სეგუროსის“ მეპატრონემდე. მანოლო საისამდე მივიდა. უკვე ამ გაზაფხულზე საისი საერთოდ ჩამოაცილეს საქმეს და ველოსპორტის სამყაროში პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადეს. მაშინ იყო, „ლიბერტი სეგუროსის“ ლიდერის პოსტზე ერასის შემცვლელმა ალექსანდრ ვინოკუროვმა თავის ყაზახ პროტეჟეებს რომ მიმართა და ესპანური გუნდი სასწრაფოდ გადაკეთდა ყაზახურ-გერმანულ „ასტანა-ვიურტად“. მიუხედავად ამ სახელცვლილებისა, ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (UCI) ბოლომდე წინააღმდეგი იყო ვინოკუროვის გუნდის ფრანგულ სუპერრბოლაში მონაწილეობისა და მოითხოვდა, რომ „ასტანა-ვიურტს“ მანამდე დისკვალიფიცირებული ესპანური „კომუნიდად-ვალენსიას“ ბედი გაეზიარებინა.

გუშინ დილით, თითქოს ყველაფერი მოგვარდა. მიუხედავად მთელი რიგი მრბოლების მიმართ არსებული ეჭვებისა, „ასტანა-ვაურტი“ „ტურზე“, თავად რბოლის ორგანიზატორების ნებით დაუშვეს და ყველანი, უკვე დღევანდელი სტარტის მოლოდინში ვიყავით, მაგრამ ნაშუადღევს ესპანელმა სამართალდამცავებმა ისეთი ბომბი ააფეთქეს, მტრისას.

როგორც გაირკვა, ეუფამიანო ფუენტესის კლიენტთა შორის, არა მარტო „ლიბერტი სეგუროსისა“ და „კომუნიდად ვალენსიას“ ველოსიპედისტები იყვნენ. პირველი ეჭვი „ტურის“ 1997 წლის ჩემპიონსა და ხუთგზის ვიცეჩემპიონ ულრიხზე გაჩნდა, თუმცაღა გერმანული „T-მობაილის“ მესვეურებმა ეს ეჭვი თავდაპირველად უარყვეს და განაცხადეს, ულრიხს ფუენტესთან არასოდეს უთანამშრომლიაო. ცოტა ხანში სხვა, სრულიად საწინააღმდეგო ინფორმაცია გავრცელდა — „T-მობაილმა“ ფუენტესთან სავარაუდო კავშირის გამო თავისი ლიდერი რბოლიდან მოკვეთა და მას ულრიხის მწვრთნელი რუდი პევენაჟი და კიდევ ერთი მრბოლი, ესპანელი ოსკარ სევილიაც თან მიაყოლა.

თითქოს ამას უცდიდნენო და ცოტა ხანში ანალოგიური ნაბიჯი გადადგა, ჯერ დანიური CSC-ის, ხოლო შემდეგ ფრანგული AG2R-ის ხელმძღვანელობამ. პირველებმა ივან ბასო ჩამოაშორეს რბოლას, ხოლო მეორეებმა — ესპანელი ფრანსისკო მანსებო — კიდევ ერთი ფავორიტი და შარშანდელი „ტურის“ მეოთხედაგილოსანი.

„T-მობაილისა“ და CSC-ის გადაწყვეტილებებს შორის კი „ტურის“ დირექტორის ჟან-მარი ლებლანის განცხადება იყო. ლებლანმა გერმანული გუნდის ნაბიჯს გაბედული და სხვა გუნდებისთვის მისაბაძი უწოდა. აკი, მიბაძეს კიდეც ამ დილისთვის, იქნებ მიმბაძველთა ეს სია გაცილებით დიდიც იყოს. ყოველ შემთხვევაში, ეჭვმიტანილმთა სიაში, ბარე სამი ათეული სპორტსმენი მაინც არის და მათ შორის ისეთი ცნობილებიც, როგორებიც ხოსება ბელოკი და იორგ იაკშე არიან.

„ტური“ დღეს, ალბათ, მაინც დაიწყება, მაგრამ რა და როგორ იქნება, ღმერთმა უწყის. ფაქტი ერთია — ველოსპორტი დოპინგისგან ტოტალურად არის დაბინძურებული და იმაშიღაა საქმე, ვინ როგორ მოახერხებს თავის დაძვრენას. მარკო პანტანიმ, ველოსპორტის პოეტმა და რომანტიკოსმა, ვერ შეძლო ამის გაკეთება და კარიერას ვინ ჩივის, სიცოცხლე დაასრულა ნაადრევად. სამაგიეროდ, პრაგმატიკოსი ლენს არმსტრონგი მუდამ სუფრაზე რჩებოდა და ახლა, თავისი შვიდწლიანი მეფობის შემდეგ. ალბათ გულიანად იცინის კიდეც — „ტურ დე ფრანსზე“ პოსტარმსტრონგული ეპოქა ბასოსა და ულრიხის მეტოქეობით უნდა დაწყებულიყო და ამ დუელის მომლოდინე ქომაგებს ხელში საშინელი ფარსი შეგვრჩა.

და ახლა, როდესაც ბასო და ულრიხი აღარ იქნებიან, გამარჯვების რეალური შანსები გაუჩნდა არმსტრონგის თანამემამულეს ლევი ლეიფემერს და იქნებ, ასეც იყო გათვლილი. თუმცა, ამ აწ უკვე თავწაკვეთილი და დაჩეხილი რბოლის ფავორიტად, არა ლეიფემერი, არამედ 26 წლის ესპანელი ალეხანდრო ვალვერდე უნდა მივიჩნიოთ, ვისაც თვით ბასოსა და ულრიხთან ჭიდილშიც ექნებოდა შანსი.

უნიჭიერესი ბასკის ერთადერთი მინუსი გამოუცდელობაა. ის ერთადერთხელ, შარშან გამოსულა „ტურზე“ და ის რბოლაც ტრავმის გამო ვერ დაასრულა. ვერ დაასრულა, მაგრამ ერთ-ერთ ურთულეს ალპურ ეტაპზე თავად არმსტრონგი დაჯაბნა და ამერიკელს ათქმევინა, „ტურის“ მომავალი მისიაო.

გია მუჯირი



თბილისელთა მოწყალება

საქართველოს მოცურავეთა ჩემპიონატში, რომელიც გუშინ დიღმის 25-მეტრიან აუზში დასრულდა, შეჯიბრების მონაწილე აზერბაიჯანელებმა მასპინძლებს ერთადერთი პირველი ადგილი წაართვეს. ეს ოქსანა გაკმახნოვამ მოახერხა რომელმაც 50 მეტრზე ბრასით ცურვაში იმარჯვა — 35,93.

საერთოდ, ბრასით ცურვა ამ ჩემპიონატში ყველაზე გამორჩეული იყო, რადგანაც შედარებით მაღალი შედეგები აღინიშნა. მაგალითად, თბილისელმა სპორტის ოსტატმა ვანო ლექვთაძემ 50 მეტრზე ცურვაში თავისი წოდება შესაბამისი შედეგითაც დაამტკიცა — 30,44.

ასეთივე სანორმატივო შედეგებით გაიმარჯვეს თბილისელმა ალექსანდრე მოსეშვილმა და რუსთაველმა კირილ შირიავემ. პირველმა ეს შესძლო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით (54,63), ხოლო მეორემ ამავე დისტანციაზე გულაღმა ცურვაში, — 1.01,00.

საინტერესოა, რომ შირიაევი და გორელი ნინო ბუხრიკიძე ის გამონაკლისნი იყვნენ, რომლებმაც არათბილისელთაგან მოიპოვეს ჩემპიონობა. ნინო საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (1.09,07) ავიდა. მანვე მეორე ადგილი დაიკავა 200 მეტრზე ბატერფლით შეჯიბრებაში — 3.04,53, სხვები კი თბილისელებმა სპატიო კვარცხლბეკს არ გააკარეს.

ასე რომ, დიღმის წყალში თბილისელთა მოწყალება მხოლოდ სამს გაწვდა. ცხადია, ამის მერე თბილისელებმა გუნდურ პირველობაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს. მიმდევნო ადგილები ასე განაწილდა: რუსთავი, გორი, ბათუმი, ქუთაისი.

ავთანდილ ბუკვიზელი

მეკლდეურობა

ნუცას სკოლა მეკატერინბურგში

ბოელი ევროპის უძლიერესი მეკლდეურები ეკატერინბურგის ერთ-ერთ დარბაზში შეიკრიბნენ და იქ კონტინენტის ჩემპიონატში მონაწილეობენ. საბედნიეროდ, მათ მარაქას არც ქართველები გამოკლებიან, ოღონდ ეგაა, ისინი ამ საქმეში ძველებურად ველარ ბრწყინავენ. ეს დაადასტურა ჩემპიონატის პირველმა დღემაც, როცა რთულ ცოცვაში საკვალიფიკაციო შეჯიბრება გაიმართა, რამაც ქალებშიც და ვაჟებშიც რვარვა ფინალისტი გამოავლინა.

სამწუხაროდ, ფინალისტთა შორის ვერ მოხვდნენ ჩვენი თანამემამულენი, საქართველოს ჩემპიონები ნუცა ხუციშვილი და ავთანდილ ქურასბედიანი. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ნუცა ხუციშვილი ჯერ ახალგაზრდული ასაკისაა, მაგრამ რაკი მასზე ძლიერი მეკლდეური არა გვყავს, ამ მეათეკლასელ გოგონას უფროსთა ჩემპიონატში უწევს გამოსვლა. ამდენად, მისთვის ევროპის უძლიერეს მეკლდეურებთან შეჯიბრება ნამდვილი სკოლაა. ოღონდაც, არც მისთვის და არც ქურასბედიანისთვის ეს ჩემპიონატი ამით ჯერ არ დამთავრებულა. ისინი ბოლდერინგში და სწრაფ ცოცვაშიც ცდიან ძალას.

ავთანდილ ბუკვიზელი

ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲐ ᲰᲘᲜᲒᲘᲡᲘ: ᲕᲐᲘ ᲐᲘᲡᲒᲐᲜ ᲠᲣᲡᲛᲐ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲜᲐ ᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲯᲔᲓᲐ



AFP ლონდონიდან

ჯეიმს ბლეიკი ბელარუსმა „ურჩხულმა“ შეჰამა

30 ივნისი

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ

ᲚᲔᲘᲢᲝᲜ ᲰᲘᲣᲘᲢᲘ (6, ავსტრალია) — ᲰᲘᲣᲜᲒ-ᲢᲐᲘᲙ ᲚᲘ (კორეა) 6:7 6:2 7:6 6:7 6:4; **ᲔᲜᲓᲘ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ** (ბრიტანეთი) — ᲟᲣᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲜᲔᲢᲝ (საფრანგეთი) 7:6 6:4 4:6 6:1

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲠᲔ

ᲠᲝᲯᲔᲠ ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲘ (1, შვეიცარია) — ᲜᲘᲙᲝᲚᲐ ᲛᲐᲰᲣ (საფრანგეთი) 6:3 7:6 6:4; **ᲜᲝᲕᲐᲙ ᲯᲝᲙᲝᲕᲘᲩᲘ** (სერბეთი) — ᲛᲘᲰᲐᲘᲚ ᲘᲣᲟᲜᲘ (რუსეთი) 4:6 6:2 6:3 6:3; **ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲕᲔᲠᲓᲐᲡᲙᲝ** (28, ესპანეთი) — დავიდ ნალბანდიანი (4, არგენტინა) 7:6 7:6 6:2; **ᲛᲐᲫᲡᲘᲛ ᲛᲘᲠᲜᲘ** (ბელარუსი) — ჯეიმს ბლეიკი (8, აშშ) 6:4 3:6 4:6 6:1 6:0; **ᲠᲐᲓᲔᲚ ᲨᲢᲔᲞᲐᲜᲔᲚᲘ** (14, ჩეხეთი) — ხუან-კარლოს ფერერო (24, ესპანეთი) 5:7 6:7 6:4 6:2 11:9; **ᲘᲝᲜᲐᲡ ᲑᲘᲝᲠᲙᲛᲐᲜᲘ** (შვედეთი) — დანიელე ბრაჩიალი (იტალია) 7:5 6:2 6:1; **ᲢᲝᲛᲐᲨ ᲑᲔᲠᲓᲘᲩᲘ** (13, ჩეხეთი) — ტომი ჰაასი (19, გერმანია) 2:6 7:5 7:6 4:6 8:6; **ᲛᲐᲠᲘᲝ ᲐᲜᲘᲩᲘᲩᲘ** (7, ხორვატია) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 7:6 6:7 *(გადაიდო)*

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲠᲔ

ᲜᲐ ᲚᲘ (27, ჩინეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) 3:6 6:2 6:3; **ᲨᲣᲡᲢᲘᲜ ᲔᲜᲘᲜ-ᲐᲠᲓᲔᲜᲘ** (3, ბელგია) — ანა ჩაკვეტაძე (30, რუსეთი) 6:2 6:3; **ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲐ ᲰᲐᲜᲢᲣᲩᲝᲕᲐ** (15, სლოვაკეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:4 7:6; **ᲡᲘᲕᲔᲠᲘᲜ ᲑᲠᲔᲛᲝᲜᲓᲘ** (საფრანგეთი) — გიზელა დულკო (32, არგენტინა) 7:6 5:7 7:5; **ᲐᲘ ᲡᲣ�გᲘᲐᲛᲐ** (18, იაპონია) — მარტინა ჰინგისი (12, შვეიცარია) 7:5 3:6 6:4; **ᲯᲘᲛ ᲙᲚᲐᲘᲡᲢᲔᲠᲡᲘ** (2, ბელგია) — ჟი ჟენგი (ჩინეთი) 6:3 6:2; **ᲐᲒᲜᲔᲨᲙᲐ ᲠᲐᲓᲕᲐᲜᲡᲙᲐ** (პოლონეთი) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:3 6:2 ; **ᲜᲘᲙᲝᲚ ᲕᲐᲘᲓᲘᲨᲝᲕᲐ** (10, ჩეხეთი) — კაროლინა შპრემი (ხორვატია) 7:5 7:5

ᲜᲐᲛᲔᲢᲐᲜᲘ შავი პარასკევი გაუთენდათ განთესილ მოთამაშეებს. აქამდე კანტიკუნტი მოულოდნელობების შემდეგ გუშინ უიმბლდონს ერთბაშად გამოაკლდა ფავორიტთა შორის დასახელებული რამდენიმე ჩოგბურთელი.

უპირველესი მოულოდნელობა კი დავიდ ნალბანდიანის გავარდნა იყო. არადა, ამ არგენტინელის ბალახზე თამაში ეხერხება (უიმბლდონის ფინალშიც უთამაშია), მაგრამ ფერნანდო ვერდასკოს სეტიც კი ვერ მოუგო. როგორც აღმოჩნდა, ესპანელი უკეთესად იყო მომზადებული, პირველ რიგში ფსიქოლოგიურად — სწორედ ამის ხარჯზე მოუგო მეტოქეს ორი ტაი ბრეიკი. მესამე პარტიაში კი არგენტინელს წინააღმდეგობის თავიც აღარ შერჩა.

არც ჯეიმს ბლეიკის წაგებას ელოდა ვინმე — წლეულს ეს ამერიკელი გასაოცრად სტაბილურია. იგივეს თქმა ძნელია მაქს მირნიზე, მაგრამ ლონდონში ბელორუსი ჯერჯერობით მშვენივრად ირჯება. როგორც აღმოჩნდა, მირნი მეტოქეზე ერთი თავით უკეთესს ფიზიკურ ფორმაში ყოფილა, რის გამოც უკანასკნელ ორ სეტში თითქმის გაჩერებულ ამერიკელს მხოლოდ ერთი გეიმი თუ ააღებინა.

ყველაზე დიდი სენსაცია კი ის იქნებოდა, ლეიტონ ჰიუტისაც რომ წაეგო. ავსტრალიელმა ორ დღეზე გაწელილ შეხვედრაში დიდი წვალებითა და ნერვიულობით მოუგო 30 წლის კორეელ ჰიუნგ-ტაიკ ლის. ეგრეა — მეტოქის შეუფასებლობა ყველას ძვირად უჯდება ხოლმე, თუმც ოზი გუშინ გადარჩა.

სამაგიეროდ არაფერი მოქმედებს და ჭრის როჯერ ფედერერზე. მას არც მეტოქის სათანადოდ შეფასება ეშლება და არც „შავი პარასკევი“ თუ კვირის სხვა შავი დღე აშინებს. „მხიარული როჯერი“ უიმბლდონური პოკერისკენ შეუფერხებლად და სეტწაუგებლად მიიწევს. თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლა მაჰუმ სამივე სეტი იომა და შვეიცარიელსაც ჯერჯერობით ყველაზე მეტად ამ ფრანგთან მოუწია წვალება.

კაცებს არც ქალები ჩამორჩნენ და ერთ-ორ ფავორიტს მათაც ჩაალაგებინეს ჩემოდნები.

სლემტურნირებიდან ყველაზე უიღბლოდ მარტინა ჰინგისს უიმბლდონზე დაბრუნება გამოუვიდა. ავსტრალიასა და როლან გაროსზე მან მეოთხედფინალამდე მიაღწია, ლონდონში კი მხოლოდ მესამე წრეში მოახერხა გაღწევა. მარტინამ აი სუგიამასთან ბევრი კი იბრძოლა, მაგრამ...

ჩინებულად გამოიყურება უიმბლდონზე განთესილებში პირველად მოხვედრილი ჩინელი ნა ლი. მისგან ასეთ თავგამოდებას არავინ ელოდა, მაგრამ ჯერჯერობით ლი მშვენივრად თამაშობს, გუშინ კი საერთოდაც ტურნირის ჯერჯერობით უმთავრესი სენსაციის ავტორიც შეიქნა, გააგდო რა სვეტლანა კუზნეცოვა.

ფედერერის მსგავსად შეუჩერებლად გამოიყურება ჟუსტინ ენენ-არდენი. ჭინკა ბელგიელმა ერთი კი დაიჩივლა, მენტალურად უძნელესია ერთ თვეში ორ სლემტურნირზე ითამაშოო, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერს მშვენივრად უმკლავდება და „როლან გაროსის“ მოგების შემდეგ ლონდონში ტრიუმფის მთავარი პრეტენდენტადაც ითვლება.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲕᲘᲚᲘ



AFP ლონდონიდან

ქალები ცალ ფეხზე: ჰინგისი სახლში, ჰანტუხოვა მეოთხე წრეში

ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲛᲐ ᲠᲣᲡᲔᲑᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲬᲐᲐᲠᲗᲕᲔᲡ

ᲔᲡ�პᲐᲜᲣᲠ მალაგაში ორდღიანი ევროპის თასის მეორე დღე პირველზე არანაკლებ საინტერესო გამოვიდა. თავიდანვე წინ გაჭრილ რუს დედაკაცებს კუდშიც ვერავინ მისდია, 9 რჩეულ ევროპულ ნაკრებს შორის 155 ქულით გაუსაჩივრებელი პირველი ადგილი ერგოთ. ამით რუსი ქალები ზედიზედ მეათედ გახდნენ ევროპაში უძლიერესნი. 111,5 ქულა და მეორე ადგილი შეხვდა ჩათქვირულ პოლონელ დედაკაცთა ბრიგადას, მესამე კი უკრაინა იყო 99 ქულით.

აი, 9 საუკეთესო კაცთა ნაკრების ტურნირი კი გაცილებით საინტერესო გამოვიდა. პირველი დღის შემდეგ აქაც რუსები ლიდერობდნენ, მაგრამ არც იმდენად, რომ ორგანიზატორებს მეორე დღე გაეუქმებინათ და მედლები წინასწარ დაერიგებინათ მათთვის. რუსებთან რამდენიმე ქულა აშორებდათ ისევ პოლონელებს, იტალიელებს და ბრიტანელებს, მაგრამ ყველას მაინც ფრანგებმა აჯობეს და ბოლო გარბენის 4X400-მეტრიანი ესტაფეტის წინ 5 ქულით მიუახლოვდნენ ლიდერებს. ეს ბოლო დისციპლინა ფრანგებმა მოიგეს კიდეც და 9 ქულა ჩაიწერეს. რუსმა კაცებმა კი უსუსურად ირბინეს, 9 გუნდში ბოლოდან მეორე ადგილი დაიჭირეს და შესაბამისად მხოლოდ ორი ქულა შეხვდათ, რის გამოც საერთო ჩათვლაში პირველობა ფრანგებს დაუთმეს, რომლებმაც ბოლო ოთხ წელიწადში მეორედ დაიპყრეს ევროპა. რაც შეეხება 2004-05 წლების ევროჩემპიონ გერმანელ კაცებს, მათ მხოლოდ ფინეთს გაასწრეს და სამარცხვინო მე-8 ადგილით დაასრულეს ტურნირი.

არცთუ დამაჯერებლად ირბინისროლ-იხტუნავეს მასპინძელმა ესპანელებმაც. მათ ქალთა და კაცთა შეჯიბრშიც მე-6 ადგილები შეხვდათ. ერთი იშვიათთაგანი, ვინც „ფურია როხა“ ასახელა, გახლდათ 800 მეტრის მომგები ხუან დე დიოს ხურადო.

ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ

Formula 1

ᲛᲔᲐᲗᲔ ᲛᲢᲐᲯᲘ **ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ**

ᲛᲝᲢᲝᲠ ᲡᲞᲘᲓᲕᲔᲘ

ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ�პᲝᲚᲘᲡᲘᲡ, 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ



ᲢᲠᲐᲡᲘᲡ ᲡᲘ�გᲠᲫᲔ ---------- 4.192 კმ
ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐ ---------- 73 წრე — 306.016 კმ

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 21 საათზე

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ: 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 მონტეირო (ჯორდანი); 4 კარტიკეიანი (ჯორდანი); 5 ალბერსი (მინარდი); 6; ფრიზახერი (მინარდი); 7 — ; 8 —

ᲬᲠᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ: 2004 — ბარიკელო (ფერარი) 1:10.399 (214,4 კმ/სთ)

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

2 ივლისს, სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღეს, გიწვევთ კაფე „მსოფლიო სპორტში“, სადაც მოეწყობა პრეზენტაცია ვებ-გვერდისა

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ“

დასაწყისი 14 საათზე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

AFP ინდიანაპოლისიდან

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲬᲘᲜ

ბონემის ლონდონური აუქციონის მუშაკს ლაურა ტარნბოლს მიხაელ შუმახერის ის სამოსი აცვია, რომლითაც მან 2002 წლის ავსტრალიის დიდ პრიზზე მოიპოვა ჩემპიონობა. სამოსის საწყისი ფასი 6200 გირვანქაა. თავად შუმი კი ახლა ინდიანაპოლისშია, სადაც ამერიკის დიდი პრიზი გაიმართება ამ უქმეებზე. ეს ბიჭი კიდევ, ფორმულა 1-ის გიჟი ჯეკ კნეიბია, მოდელ გოგოებს შუა რომ ხარობს.

AFP ლონდონიდან

AFP ინდიანაპოლისიდან

ᲪᲣᲠᲐᲛᲓᲔ

ფეხბურთმა კი წალეკა ყველაფერი, მაგრამ ერთი დღეც და 93-ე ტურ დე ფრანსი იწყება. ჰოდა, სტრასბურის თავზეც გაუბამთ თოკი და ველოაკრობატი დასრიალებს.

AFP სტრასბურიდან

AFP ლონდონიდან

ᲒᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲖᲔ

ეს ცუდი ამბავი რაფაელ ნადალისა და რობერტ კენდრიკის შეხვედრისას მოხდა უიმბლდონზე. ლაინსმენს გული წასვლია და ზედ კორტის პირას ნაქცეულა. მიზეზს არ იტყობინებიან.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲐ
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲭᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲘᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲨᲐᲨᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲔᲑᲘ: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა პუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ: 38-11-14, 877 54 55 00

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ
sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
http://www.sarbieli.com.ge